ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ივლისი ხუთშაბათი 2012 №163 (13 769) ფასი 80 თეთრი

ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა **15** დღე

# ცალი ფეხით არა, მომდევნო ეტაპზე ორივე ფეხით უნდა გავიდეთ!

## მეტალურგი ტეუტას 3:0-ს უგებს, დარჩენილია 90 წუთი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

2-3

მეტალურგი ალბანელებთან მატჩისთვის ემზადება



დავით გამეზარდაშვილი (მარცხნივ) და გია გეგუჩაძე

## აქტიურად შევუტიოთ აქტობეს, გოლი ჩვენ გვაქვს გასატანი

დღეს ევროპის ლიგის საპასუხო მატჩებია



13

## ვიქტორი+ერთი

ხელი მოწერილია, სანიკიძე სიენელია

## ერთა თასი 2013: კალენდარი ცნობილია



ფირა-მ ევროპის ერთა თასის 2013 წლის კალენდარი დაადგინა. გთავაზობთ "ბორჯღალოსანთა" შეხვედრების განრიგს:

2 თებერვალი
ბელგია-საქართველო

9 თებერვალი
საქართველო-პორტუგალია

23 თებერვალი
რუსეთი-საქართველო

9 მარტი
საქართველო-ესპანეთი

16 მარტი
რუმინეთი-საქართველო



12

## შენგელიას 17 გასროლა მონადირეებს NBA-ს?

## ქართული ფეხბურთი

ევროპალიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.



კობა ჟორჟიკაშვილი

# არ დაგავიწყდეთ 2003 წელი!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

12.07. თბილისი. მიხეილ მესხი. 18:00

მეტალურგი (საქართველო) VS ტეუტა (ალბანეთი)

პირველი მატჩი 3:0

რუსთავის "მეტალურგი" თითქმის გასულია მომდევნო ეტაპზე, თუმცა ეს მაინც ევროტურნირია და მოდუნებასა თუ ქედმაღლობას არ გაპატიებს.

გუშინ "მეტალურგმა" მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშა. წვრთნა მატონიზებული იყო, თქმა რად უნდა, რომ მატჩის წინადღეს მწვრთნელი ფეხბურთელებს სიქას არ გააძრობდა.

რუსთავული გუნდის ფეხბურთელები თავდაჯერებულები ჩანდნენ და ეს მატჩის წინ დიდად გამოსადეგარი რამეა.

ვარჯიშამდე "მეტალურგის" თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმაც** ჟურნალისტებს გვითხრა, მოდუნება არ ეგების, საქმე მოთავებულად არ უნდა ჩავთვალოთო.

რუსთაველთა ვარჯიშის შემდეგ "მიხეილ მესხზე" ალბანური "ტეუტა" უნდა გამოსულიყო. "ტეუტა" დიდი გულჩათხრობილი გუნდი ყოფილა – რუსთავულ კლუბში გვითხრეს, ალბანელებმა არც რეისი გვაცნობეს და არც ის, რომელ სასტუმროში გაჩერდებიან თბილისში, ჩვენთან კავშირზე არ გამოდიანო.

ალბანელთა დამრიგებელმა **ჰასან ლიკამ** მოედანზე 17 ფეხბურთელი გაიყვანა, ბევრი სირბილითა და მოძრაობით არც "ტეუტას" შეუწუხებია თავი.

დანარჩენი ხვალ გამოჩნდება, "მეტალურგი" ცალი ფეხით მეორე ეტაპზეა და საკუთარ თავს თვითონ თუ არ შეუქმნის პრობლემებს, "ტეუტას" უკან მოიტოვებს.

2003 წელს "დინამომ" ალბანურ "ტირანას" შინ 3:0 მოუგო, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ალბანელები გავიდნენ. ვინძლო ცუდი შედარებაა, მაგრამ გაკვეთილად მაინც უნდა გამოადგეს ყველას.

"მიხეილ მესხზე" მატჩი დღეს 18:00 საათზე დაიწყება, სტადიონზე რეკონსტრუქციაა და ტრიბუნების მეტი წილი სკამებაყრილია, თუმცა იმდენ ქომაგს ნამდვილად დაიტევს, რამდენსაც დღეს იქ მისვლის და "მეტალურგის" ქომაგობის სურვილი ექნება. ბილეთის ფასი 3 ლარია.

**დავით თავართქილაძე**

# გია კვარაცხელია: საკუთარ თავს უნდა ვაჯობოთ

**დღეს რუსთავის "მეტალურგი" "მიხეილ მესხზე" ალბანურ "ტეუტას" შეხვდება და ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას შეეცდება.**

**ეს რომ სავსებით რეალურია, პირველი შეხვედრის შედეგიც მეტყველებს: დურესში მოპოვებული დიდი უპირატესობის (3:0) განიავება წარმოუდგენელი ჩანს.**

**თუმცა, პირველი შეხვედრის გმირი, "მეტალურგის" კაპიტანი გია კვარაცხელია ამბობს, რომ სიფრთხილე და მეტოქის დაფასება აუცილებელია:**

- დურესში დიდი ანგარიშით მოგებამ ალბანელებზე ბევრს არასწორი წარმოდგენა შეუქმნა. ფიქრობენ, რომ "ტეუტა" სუსტი გუნდია. ეს "მეტალურგის" შეუფასებლობა უფრო არის. საკუთარი გუნდის ქება უხერხულია, მაგრამ არავინ მოტყუვდეს, "ტეუტა" დასაწყისში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, პირველი ტაიმის ნაწილი კი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ალბანელები სახლში ყოველთვის კარგად თამაშობენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ მოგვიგებდნენ.

მაგრამ მოულოდნელად ჩვენს ისეთ პლუს წააწყდნენ, რასაც ქართველებისგან ვერაფრით წარმოიდგენდნენ – ეს ჩვენი ფიზიკური მომზადება იყო. სერბი ფიზმომზადების სპეციალისტი გვავარჯიშებდა და სიმართლე გითხრათ, დიდი ხანია, ასე კარგად არ მოვმზადებულვარ. თანაც, სლოვენიურ შეკრებებზე ძლიერ გუნდებს შევხვდით და ამანაც თავისი როლი ითამაშა.

აუტანელი სიცხის მიუხედავად, გავძელით, მეტოქე კი დაიღალა და ბოლო წუთებზე წინაალმდეგობა ველარ გაგვიწია. კარგი შეცვლებიც განხორციელდა, მიქაბერიძე და ტატანაშვილი თამაშში მაგრად ჩაერთვნენ და ჩვენი უპირატესობა გოლებში მათი აქტიურობისა და კარგი თამაშის ხარჯზეც აისახა.

**ბევრმა ჩათვალა, რომ „მეტალურგი" იშლებოდა.**

- საბედნიეროდ, ეს არის ჭორი, გუნდი შენარჩუნდა და ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ბუბა უკვე "დინამოშია" და ახლა თამამად ვიტყვი: ტყავაძისა და მისი თანამოაზრეების, აკა ქავთარაძის, კახა კოპალეიშვილის და კობა ჟორჟიკაშვილის დამსახურებაა, რუსთავში ერთსულოვანი გუნდი რომ ჩამოყალიბდა.

ურთიერთობები კი სათავიდან იწყება – რაც თავში ხდება, ის ბოლოსაც გადაეცემა და თამაშზეც აისახება. ჩვენთან დამლაგებლით დაწყებული, ხელმძღვანელობით დასრულებული, ყველა ერთმანეთზე ზრუნავს და სასიამოვნო აურაა.

ერთ ამბავს გავიხსენებ და მიხვდებით, გუნდში როგორი ვითარებაა: ალბანეთში მივფრინავდით და ჩამეძინა. თვალები რომ გავახილე, ვიღაცას თბილი მოსასხამი გადაეფარებინა - გამიკვირდა, სად მოძებნეს-მეთქი. თურმე, აკა ქავთარაძემ ეკიპაჟის წევრები შეაწუხა, რომ არ გავციებულიყავი. ეს წვრილმანი გუნდში არსებულ ვითარებაზე ყველაზე კარგად მეტყველებს. როდესაც ხელმძღვანელებისგან ზრუნვას გრძნობ, მოედანზე დამატებითი სტიმულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით გადიხარ.



გია კვარაცხელია

სხვათა შორის, მომენტების 50 პროცენტიც რომ გამოგვეყენებინა, გაცილებით დიდი ანგარიშით მოვიგებდით.

**- შენი გოლები არავის უკვირს, მაგრამ გასვლით შეხვედრაში ცენტრალური მცველის დუბლი მაინც გასაოცარია.**

- მეორე გოლი პენალტით გავიტანე და ეს ჩვეულებრივი ამბავია. თერთმეტმეტრიანს ის ასრულებს, ვინც თავდაჯერებულია. პირველი გოლი კი სტანდარტულის შემდეგ გავიტანე. ეს შეტევაში მცველის ჩართვის ერთადერთი შანსია და საჭირო ადგილზე დროულად ალმოვჩნდი.

**- გულახდილად ვთქვათ: მოგებას ვინ ჩივის, მატჩს შიშით ველოდით, რადგან ბუბა ტყავაძის წასვლის შემდეგ გუნდი გაურკვევლობაში იყო და გულწრფელად თქვი, უკვე შემდეგ ეტაპზე თამაშზე ფიქრობთ?**

- სტუმრად 3:0 მოგება სერიოზული ფორაა, მაგრამ ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. მე ასე ვფიქრობ – საკუთარ თავსაც პატივი უნდა სცე და მეტოქესაც.

**– გასვლაზე რომელ ქართულ გუნდებსაც მოუგია, მერე დამშვიდებულა და ეს ბევრჯერ ცუდად შემოტრიალებია. არადა, ახლა გულშემატკივარი "ტეუტასთან" ბევრ გოლს და ლამაზ ფეხბურთს ელის - იმედი არ უნდა გაგვიცრუოთ.**

- მეც იმის თქმა მსურს, რომ 12 ივლისს ყველაზე რთული შეხვედრა გველის, სადაც 'მეტალურგის" მეტოქე ჩვენვე ვიქნებით და განსაკუთრებული მონდომება გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფა 2014

# ეროვნული ეროვნულზე ითამაშებს



**ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წლევანდელ საშინაო თამაშებს ეროვნულ სტადიონზე ("დინამო არენაზე") გამართავს.**

ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას, უეფას და ჩვენი მეტოქე ქვეყნების ფედერაციებს ოფიციალური წერილებით აცნობა.

შეგახსენებთ, რომ შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში **თემურ ქეცბაიას** გუნდი 7 სექტემბერს ბელორუსს უმასპინძლებს, 11 სექტემბერს - ევროპის 2012 წლის ჩემპიონ ესპანეთს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კი ევროშესარჩევის დარჩენილ ორ საშინაო მატჩს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარებს: **ალექსანდრე ჩივაძის** განვრთნილები 15 აგვისტოს ხორვატიას დაუპირისპირდებიან, 6 სექტემბერს კი - ესტონეთს.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

# ვიტ ჯორჯიამ ზოოვეტს სძლია

9 ივლისს "მცხეთა პარკზე" "ვიტ ჯორჯიამ" მოსამზადებელ ეტაპზე მეოთხე საკონტროლო შეხვედრა პირველი ლიგის "ზოოვეტთან" ჩაატარა.

ანგარიში 22-ე წუთზე ზოოვეტელმა **სვანიძემ** გახსნა. 10 წუთში **ჯავაშვილმა** ანგარიში გაათანაბრა, 71-ე და 79-ე წუთებზე კი შეცვლაზე შესულმა **ჯოლოხავამ** დუბლი შეასრულა და "ვიტ ჯორჯიამ" 3:1 გაიმარჯვა.

"ვიტ ჯორჯია": სვანაძე - ახვლედიანი (46. ტეტუნაშვილი), კალანდია, მანაგაძე, ხუჭუა - დავლაშელიძე, ლიბრაძე - მურადაშვილი (46. ჯულელი), ჯაყელი (60. ჯოლოხავა), ვაშაკიძე (46. ჯავაშვილი) – ლობჯანიძე

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპალიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

# ყაზახების იმედი და ისტორია

12.07. აქტობე. 19:00

აქტობე (ყაზახეთი) VS ტორპედო (საქართველო)

პირველი მატჩი 1:1



ტორპედოს კაპიტანმა დავით გამეზარდაშვილმა (მარცხნივ) და მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ გუშინ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართეს

დღეს ქუთაისის "ტორპედო" ყაზახეთში ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში „აქტობეს" შეხვდება.

"აქტობეს" მთავარი მწვრთნელი, **ვლადიმერ მუხანოვი** ნერვიულობს, რადგან სავარაუდოდ, ქუთაისში დაშავებული თავდამსხმელი **ალექსანდრ გეინრიხი** ვერც ითამაშებს – მას ფეხი სტკივა და გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობდა. სამაგიეროდ, მუხანოვი მცველის, **ემილ კენჟისარიევის** დაბრუნებამ გაახარა, რომელსაც შეტევებში ჩართვა კარგად ეხერხება.

"აქტობეს" ცენტრალური ნახევარმცველი **მარატ ხაირულინი** კი თანაგუნდელებს "ტორპედოსთან" სიფრთხილისკენ მოუწოდებს: *"მეტოქეს სწრაფი და ტექნიკური მოთამაშეები ჰყავთ. საერთოდ, ქართველები ტექნიკით გამოირჩევიან. მომეწონა მათი ფლანგის მოთამაშეები, სახიფათოები არიან თავდამსხმელები. მთლიანობაში, ურიგო გუნდი არ არის. მაგრამ პირველ მატჩამდე მათზე წარმოდგენა არ გვქონდა. ახლა კი ვიცით, რას წარმოადგენენ. "აქტობეს" ყაზახეთში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს, ძლიერი ლეგიონერები და ფლანგის მოთამაშეები დავიმატეთ. მაგრამ პირველი მატჩის შედეგი უნდა დავივიწყოთ და შემდეგ ეტაპზე გასვლას შევეცადოთ".*

ცხადია, საშინაო 1:1-ის შემდეგ, ქუთაისის "ტორპედოს" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეუმცირდა, მაგრამ დავიტოვოთ იმედი, რომ ქუთაისელები რუსთავის "მეტალურგის" შარშანდელ შედეგს გაიმეორებენ: ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "მეტალურგმა" პავლოდარის "ირტიშთან" რუსთავის "ფოლადზე" 1:1 ითამაშა, ყაზახეთში კი 2:0 გაიმარჯვა და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა.

შარშანდელის მსგავსად, ყაზახები ახლაც ზეიმისთვის წინასწარ ემზადებიან და ეს საჩვენო მოდუნებას ჰგავს. შარშანაც იმავეს ამტკიცებდნენ, აბა, ახლა, ქართველებს თუ ვერ მოვუგეთ, დაქცეულა ქვეყანა და ეგ არისო. თუმცა, "დაიქცა" და ვნახოთ, დღეს საღამოს "ტორპედო" რას იზამს.

გუშინ 2-საათიანი ფრენის შემდეგ, გუნდის 50-კაციანი დელეგაცია აქტობეში ჩაფრინდა და სასტუმროებში დაბინავდა, საღამოს გუნდმა ცენტრალურ სტადიონზე ივარჯიშა, გია გეგუჩაძემ კი პრესკონფერენცია გამართა.

"ტორპედო" ყაზახეთში შემდეგი შემადგენლობით იმყოფება: **მიგინეიშვილი, ქვილითაია, რიგვავა, გამეზარდაშვილი, კვახაძე, გურული, ჭელიძე, გიგაური, ფარულავა, დილმელაშვილი, დათუნაიშვილი, დოლიძე, იოსელიანი, ბოლქვაძე, ფირცხალავა, საბანაძე, ფანცულაია, გოცირიძე, ტულუში.**

აქვე გეტყვით, რომ მატჩს პოლონელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება: მთავარი არბიტრი **ადამ ლიშმანსკი** იქნება, ლაინსმენები - **კრჟისტოფ მირმუსი** და **მაშიე დასკიევიჩი**, მეოთხე - **რობერტ მალეკი.**

ადამ ლიშმანსკიმ 30 მაისს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ხორვატიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში ავსტრიასთან უმსაჯა, რომელშიც ქართველმა ფეხბურთელებმა 2:1 დაამარცხა.

**მერაბ მამულაშვიული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩი ბოლქვაძე (ბურთით)

## ბაჩი ბოლქვაძე
# შანსები 50/50-ზეა

**ქუთაისის "ტორპედო" ყაზახურ "აქტბესთან" პირველ შეხვედრაში დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. მოთამაშეთა უმრავლესობა საკუთარ თავს არ ჰგავდა. მხოლოდ ორიოდე მათგანმა მოახერხა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.**

**გამოუცდელი ცენტრალური ნახევარმცველი გიორგი კუხიანიძე ისე აზრიანად და თამამად თამაშობდა, ბევრ გამოცდილ ფეხბურთელს შეშურდებოდა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო, გიორგი აქტობეში ვერ ითამაშებს.**

**ქუთაისელთა შეტევებში შემოქმედებითი თამაშის იმედი ბაჩი ბოლქვაძეს უკავშირდება, რომელიც "აკტობესთან", კუხიანიძესთან ერთად, საუკეთესო იყო.**

**ყაზახეთში გამგზავრებამდე "ტორპედოს" პლეიმეიკერს ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- "აქტობესთან" პირველი მატჩის შედეგმა არ მოგატყუოთ. დარწმუნებული ვარ, "ტორპედოს" გაცილებით მეტი შეუძლია.

**- თუმცა, გულშემატკივარი შედეგმა და თამაშის ხარისხმა არ დააკმაყოფილა.**

- შედეგმა, უპირველესად, ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა. "აქტობე" საკმაოდ კარგი გუნდია, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ და ეს მთელ რიგ ეპიზოდშიც გამოჩნდა. მაგრამ დაუმარცხებელი გუნდიც არ არის.

**- და მაინც, ქუთაისში „ტორპედო" არადამაჯერებლად გამოიყურებოდა და იმედს რა გაძლევს?**

- გუნდმა შესაძლებლობები აშკარად ვერ გამოავლინა. თანაც, "აქტობესთან" მხოლოდ სეზონის პირველი მატჩი ჩავატარეთ და აქედან დასკვნების გაკეთება არასერიოზულიც იქნებოდა და არასწორიც. ჩვენ საკმაოდ კარგი შეკრება გავიარეთ, სადაც მაღალი დონის გუნდებს ვეთამაშეთ და მათთან თავი არ შეგვირცხვენია. გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, კარგი ახალწვეულები გვყავს და ამიტომაც მიმაჩნია, რომ "ტორპედოს" ბევრად მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე გულშემატკივარს დარჩა შთაბეჭდილება. სწორედ ეს მაიმედებს.

**- შანსებზე რას ფიქრობ?**

- ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა. ქუთაისში დასრულებული შეხვედრის შედეგი სამწუხაროა, მაგრამ მთავარი მატჩი წინ არის - ყველაფერი ყაზახეთში გადაწყდება. აქტობეში აუცილებლად უნდა გავიტანოთ და მოვიგოთ. მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ.

დასაკარგი არაფერი გვაქვს, მეტოქეც კარგად გავიცანით და ბევრად უკეთ უნდა ვითამაშოთ. მჯერა, რომ შეგვწევს ძალა, ვითამაშოთ მაღალი დონის ფეხბურთი, შედეგიანიც და მაყურებელს სანახაობაც ვაჩვენოთ. ჩვენგან მწვრთნელი სწორედ ამას ითხოვს.

**– მწვრთნელებთან სულ პრობლემები გქონდა, ვერ გიგებდნენ, არ გენდობოდნენ. გეგუჩაძე კი შენ მიმართ აშკარად კეთილგანწყობილია.**

- როდესაც "ტორპედოში" მიმიწვიეს, მაშინვე ვთქვი, რომ გეგუჩაძესთან მუშაობის პერსპექტივამ გამახარა. ახლა ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა. არა მარტო მე, არამედ ყველა ფეხბურთელი გახარებულია, ასეთი დონის სპეციალისტთან მუშაობის საშუალება რომ გვაქვს.

რაც შეეხება ჩემს ამბავს, მიმაჩნია, რომ უფრო არასაფეხბურთო და მოგონილი პრობლემები მექმნებოდა, რაც ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლის შემდეგ წარსულს ჩაჰბარდა.

დიდი ხანიც არ არის გასული, რაც "ტორპედოში" ჩავირიცხე. თუმცა, გუნდს ძალიან კარგად შევეწყვე. ასე არის ყველა ჩვენი ახალწვეული. როდესაც გუნდში მოდის, ყველა კარგად გხვდება და მაქსიმალურად ცდილობს, ადაპტაციის პერიოდი გაუიოლოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ყენიამ ზენიტში ითამაშა და სპალეტიმ მასზე უკვე ილაპარაკა



ლევან ყენიამ (ბურთთან) ზენიტის შემადგენლობაში პირველად ითამაშა

გუშინ სანქტ-პეტერბურგის "ზენიტი" თანაქალაქელ კლუბს, ქვედალიგელ "რუსს" გაეჯიბრა ამხანაგურად და 6:0 მოუგო. ეს ფაქტი ჩვენთვის იმად არის საინტერესო, რომ **ლევან ყენიამ** პირველად ითამაშა "ზენიტის" შემადგენლობაში. 21 წლის ქართველი მოედანზე 55-ე წუთზე შევიდა, როცა ანგარიში 2:0 იყო.

ყენიას გოლი არ გაუტანია, თუმცა აქტიურად ჩაერთო თამაშში, რამდენიმე მწვავე შეტევის სული და გული იყო.

მატჩის დასრულების შემდეგ "ზენიტის" ვებგვერდზე მცირე ინტერვიუ გამოქვეყნდა გუნდის მთავარ მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტისთან**, რომელსაც კითხვები სხვადასხვა ჟურნალისტმა დაუსვა და იტალიელმა სპეციალისტმა ყენიაზაეც ისაუბრა.

- ყენიას აყვანა კლუბის პრეზიდენტმა შემოგვთავაზა და შეთავაზება სიამოვნებით მივიღეთ. ამ ფეხბურთელს საკმაოდ კარგი თვისებები აქვს, რომელიც მან მაშინ აჩვენა, როცა ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა. მას კარგა ხანი არ უთამაშია, ამიტომაც უნდა დავაკვირდე და გავიგო, რამდენად ფასეულია. რადგან ის პრეზიდენტმა შემოგვთავაზა, ესე იგი, ჩვენთვის საინტერესოა.

**- ვნახეთ, რომ მას ბევრი შეუძლია თამაშის ორგანიზების მხრივ, საკითხი ეხება მის ჯანმრთელობას თუ კლუბის პრეზიდენტის არჩევანს? მან რომ ითამაშოს, ნდობა სჭირდება. ასე ვთქვათ, მას მოედანზე უკვე ხედავთ?**

- მას ექნება ნდობა, თუ ის გვაჩვენებს, რომ ამ ნდობას იმსახურებს. თქვენი რჩევა მიღებულია და მას კლუბის პრეზიდენტ ალექსანდრ დიუკოვის რჩევასთან ერთად დავაყენებდი, თუმცა პრეზიდენტის რჩევა უფრო მნიშვნელოვანია.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# ლე მანი მესამე დივიზიონში დააქვეითეს



გიორგი მაკარიძე

გუშინ საფრანგეთში გადაწყდა, რომ ლიგა 2-დან გავარდნას გადარჩენილი "ლე მანი" მაინც დააქვეითეს ნაციონალურ დივიზიონში (ანუ რანგით მე-3 ლიგაში). ამის მიზეზი კი ფინანსური პრობლემები ყოფილა, რომელიც სარტული ქალაქის კლუბს ბოლო დროს აწუხებს. "ლე მანის" ხელმძღვანელობამ პირობა დადო, რომ ყველაფერს გამოასწორებდნენ, მაგრამ მათი თხოვნა არ შეისმინეს. ასე რომ, ახალი სეზონიდან 22 წლის ქართველ გოლკიპერ **გიორგი მაკარიძეს** რანგით მესამე ლიგაში მოუწევს თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დინამო

### თბილისის დინამო:

# გრიშიკაშვილთან გაუგებრობა აუცილებლად ამოიწურება

**სოსო გრიშიკაშვილისა და თბილისის "დინამოს" დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ მეკარის თქმით, კონტრაქტის დასრულებამდე მხრის სახსარზე ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ დაგვიანებით გაიკეთა, რადგან დაპირების მიუხედავად, „დინამომ" 6,000-ევროიანი ოპერაცია არ დამიფინანსაო.**

**ამას გარდა, გრიშიკაშვილი "დინამოს" ბრალს იმაშიც სდებდა, ბოლო თვენახევრის ხელფასიც აღარ გადამიხადეს, კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია კი შეხვედრაზე უარს ამბობდაო.**

ცნობილია, კლუბის პასუხიც: კონტრაქტის დასრულებისთვის "დინამომ" ფეხბურთელს საკონტრაქტო ვალდებულებებზე მეტი აუნაზღაურა, ოპერაცია კი იმიტომ არ დავუფინანსეთ, რომ კლუბთან შეთანხმებული არ ყოფილა, არც კლუბის ექიმს გაუკეთებია ოფიციალური მომართვა და ოპერაციასთან დაკავშირებით ნებართვა არ გაგვიციაო.

მოკლედ, დიდი სკანდალი აგორდა – ერთი მხრივ, ხალხის საყვარელი კლუბი, მეორე მხრივ ფეხბურთელი, რომლის ნესიერებაზეც ეჭვი არასოდეს გაჩენილა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ისიც განაცხადა, რომ თუ მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს, დავას ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტი გაარკვევსო.

"დინამომ" კიდევ ერთხელ სცადა ვითარების განმარტება – ამ მიზნით, კლუბის პიარმენეჯერმა **ლაშა დვალიშვილმა** ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა:

- სამწუხაროა, რომ სკანდალი რომან ფიფიას თბილისში არყოფნას დაემთხვა. "დინამოს" პრეზიდენტი უცხოეთიდან რამდენიმე დღეში დაბრუნდება, გარწმუნებთ, აუცილებლად მოეწყობა შეხვედრა და ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც საჭიროდ ჩათვლის ორივე მხარე.

"დინამო" ის კლუბი არ არის, რომელიც პასუხისმგებლობას გაურბის და გადასახდელ თანხაზე უარს ამბობს.

**- გრიშიკაშვილმა დაასახელა თანხა, რომელიც ოპერაციაში კლუბს უნდა გადაეხადა.**

- ეს არის საკონტრაქტო საკითხი, რომელიც ჩემს კომპეტენციაში არ შედის.



ლაშა დვალიშვილი

**- გრიშიკაშვილი ამბობს, რომ ბაზაზე არ შეუშვეს და ფიფიასთან დალაპარაკებაც ვერ მოახერხა.**

- არა მგონია, "დინამოს" წევრებს პრეზიდენტთან კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდეთ. იქ თუ სხვა ფაქტორი იყო, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

**- იმედია, ეს მართლაც გაუგებრობა იყო და მალე ყველაფერი მოგვარდება, რადგან გრიშიკაშვილი არ არის უკადრებლის მკადრებელი პიროვნება.**

- მეც იმედი მაქვს, რომ ეს გაუგებრობა იყო და მოგვარდება, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ არც "დინამო" არის ის კლუბი, რომელიც უკადრებელს კადრულობს. ვფიქრობ, ეს დავა ძალიან მალე ამოიწურება.

მერაბ მამულაშვილი

# კარასკომ დინამოს აკადემია დატოვა

## ჩვენ საქართველოში საუკეთესო ასაკობრივი გუნდები გვყავს

**სამწუხარო ამბავია – ანდრეს კარასკო თბილისის "დინამოს" აკადემიას აღარ უხელმძღვანელებს.**

**ანდრეს კარასკო კარილიო "დინამოში" შარშან ალექს გარსიასთან ერთად გამოჩნდა და აკადემიის ხელმძღვანელობა დაევალა. კარასკოს მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ავარჯიშებდა "ბარსას" 1996-1997 და 1999 წლებში დაბადებულ ბავშვებს.**

ის "დინამოში" "ბარსელონას" მოდელს ნერგავდა, მისით მწვრთნელებიც კმაყოფილები იყვნენ და მშობლებიც, რადგან კარასკოს დროს პროტექცია გამორიცხული იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ალექს გარსიას წასვლის შემდეგ, თავად სურდა სამშობლოში დაბრუნება.

*"ოჯახის დაკარგვას მასთან ყოფნა ვამჯობინე. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დარჩენას ვერ ვახერხებ. ვწუხვარ და გული მწყდება. კლუბის პრეზიდენტი და დირექტორი ძალიან კარგად მომექცნენ. მათი და კლუბის სამუდამოდ მადლობელი ვიქნები. დიდი მოტივაცია და გეგმები გვქონდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ვფიქრობ, გამიგებს ყველა ის ადამიანი, ვისაც შვილები და ოჯახი ჰყავს. მოთამაშეებისა და მათი მშობლების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მთელი წლის მანძილზე ვმუშაობდით, რათა "დინამოს" აკადემიაში პერსპექტიულ მწვრთნელებს ემუშავათ. ის, რაც ამ პერიოდში გაკეთდა, ჩვენი მწვრთნელებისა იმ გუნდის დიდი დამსახურებაა. ვინც ჩემთან ერთად მუშაობდა. ჩვენ საქართველოში საუკეთესო ასაკობრივი გუნდები გვყავს, რომლებიც სხვებისგან განსხვავებული სტილით თამაშობენ. დაწყებულია აკადემიის ბაზის მშენებლობა, პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოსაყალიბებლად ამაზე უკეთესი ადგილი არსად მეგულება. მადლობა მინდა ვუთხრა თემურ უგრეხელიძეს და ლევან გვანცელაძეს, მწვრთნელებს და სპორტულ კოორდინატორებს, კლუბის ყველა თანამშრომელს გაწეული სამუშაოსა და თანადგომისთვის. შეუძლებელია დავივიწყო "დინამოში" გატარებული პერიოდი. შეიძლება არ დამიჯერონ, მაგრამ მე უფრო მეტი რამ ვისწავლე მათგან, ვიდრე მათ ჩემგან. მადლობა მინდა ვუთხრა ასევე ზურაბ პოლოლიკაშვილს, რომელიც ჩემი მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი იყო"* - განაცხადა "დინამოს" ვებგვერდთან კარასკომ.

ჯერ უცნობია, ვინ უთავკაცებს აკადემიას. თუმცა, ორი აზრი არ არის - კარასკოს სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა ძალიან ძნელი იქნება.

მერაბ მამულაშვილი

თავისუფალი თემა

# როგორ გავაბრუოთ მშობელი

**ყველა მშობელს საკუთარი შვილი უნიჭიერესი ჰგონია, ეს მშობლის თვისებაა, რომელზეც ხელის მოთბობა შეიძლება.**

**ყველა მშობელს ადვილი ჰგონია საკუთარი უნიჭიერესი შვილის უცხოურ კლუბში მოწყობა – ესეც თვისებაა და ამაზეც შეიძლება ხელის მოთბობა.**

**ყველა მშობელს პულსი მაღლა უწევს, როცა მავანი ეტყვის, ეს რა ნიჭიერი შვილი გყოლია, აუცილებლად საზღვარგარეთ უნდა გავუშვათო.**

**ყველა მშობელი შვილზე კომერციულ გათვლას აკეთებს, რადგან ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს და ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს.**

**ყველა მშობელს ჰგონია, რომ მისი შვილი დიდ ფეხბურთს ითამაშებს.**

ამ ყოველივეს კი მოწესრიგება, დალაგება და დროული მოქმედება სჭირდება – აქ უკვე ყველაფერი აგენტის ან აგენტობას რომ იბრალებს იმ ხალხის მარიფათზეა დამოკიდებული.

აგენტის ინსტიტუტი აუცილებელია, ამ პროფესიას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. როცა ფეხბურთელი აგენტს აიყვანს, ის უგვარებს მას მნიშვნელოვან საკითხებს – იცავს მის ინტერესებს, თუ კლუბის გამოცვლა გახდა საჭირო, ეხმარება ამაში, კონტრაქტის ყველა დეტალს ფილტრავს და ფეხბურთელს ცხოვრებას უადვილებს. მოთამაშემ აგენტთან საქმე რომ დაიჭიროს, მას კარგად უნდა იცნობდეს, მის რეპუტაციაში ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს.

ჩვენთან და ალბათ არა მარტო, ზოგჯერ ყველაფერი სხვანაირად ტრიალდება. ფეხბურთელს კი არ აჰყავს აგენტი, არამედ ხშირად პირიქით ხდება, რის შედეგადაც კლუბთან კონტრაქტის გაფორმებისას აგენტს უფრო მეტი ფული რჩება, ვიდრე ფეხბურთელს.

გამოჩნდა საინტერესო ბავშვი ჭაბუკთა ან ელიტლიგაში, ან სულაც უფრო დაბალი რანგის ტურნირში და აგენტიც მუშაობას იწყებს. აქ მთავარია მშობელს მიუდგე ოსტატურად და როგორმე ხელი მოაწერინო მასთან თანამშრომლობაზე. მოკლედ, უკაცრავად და, თუ მშობელი ადვილად გაბითურდა, ადვილადვე აწერს ან შვილს აწერინებს კონტრაქტზე ხელს აგენტთან. დამწყები ფეხბურთელი ერთ-ერთ ქართულ გუნდს მოეწონა, ჩვენებური კლუბი ბევრს ვერ გადაიხდის, შეუძლია აანაზღაუროს საფეხბურთო სკოლისთვის გასაცემი საკომპენსაციო თანხა, თუ ფეხბურთელი არასრულწლოვანია, მშობლებს დაუნიშნოს ხელფასი, მაგრამ აგენტსაც ხომ უნდა ფული? აგენტი ზოგჯერ ათეულათასობით დოლარს ითხოვს კლუბისგან. კლუბს შეუძლია, რომ ამის შესახებ ფეხბურთელის მშობელს უთხრას, მაგრამ ამით აგენტს მოიმდურებს, მშობლისთვის კი აგენტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლუბი, რადგან აგენტი მშობელს რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს, ზოგს რეალურს და ზოგს – არარეალურს. მშობელი მაინც აგენტის მხარეს იჭერს და საქმეც ზოგჯერ იფუშება.

აგენტის ლოგიკა გასაგებია – დღეს თუ ეს ფეხბურთელი დავუშვათ, 30 000 დოლარი უჯდება კლუბს, ხვალ მისი გაყიდვა ათ ამდენად გახდება შესაძლებელი. ქართველი ფეხბურთელების გაყიდვა უცხოეთში ძნელია, რადგან ჩვენს კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებს კარგი შედეგები არ აქვთ. ასაკობრივ ნაკრებებში თავგამოჩენილ ფეხბურთელებს კი ხშირად ისეთ ფასს ადებენ, მშობელს აზრადაც რომ ვერ მოუვა. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, მადა დიდი რომ არ აქვთ, მაგრამ მეტწილად სხვანაირად ხდება.

ისიც კი მომხდარა, კლუბი ფეხბურთელს წინადადებით რომ მიმართავს, მოთამაშე ან მისი მშობელი ეტყვის, აგენტი არ გვყავსო, მაგრამ მეორე თუ მესამე დღეს გაირკვევა, რომ ფეხბურთელს თურმე აგენტი ჰყოლია. ანუ, კლუბიდან წინადადებას რომ მიიღებს ფეხბურთელის მხარე, მერე გაიკითხგამოიკითხავს სიტუაციას და აგენტიც გამოჩნდება, რომელიც ეტყვის, რომ კლუბი ოხერია, კაბალურ პირობებს შემოგთავაზებთ, ამიტომ ჯობია, რომ თქვენს შვილს პატრონი აგენტის სახით




თაც ჰყავდეს, რომელიც მის საქმეებს კარგად წაიყვანს. აგენტიანი ფეხბურთელი კლუბის ხარჯებს ზრდის, მაგრამ მშობელი მაინც აგენტის მხარესაა.

თუ აგენტმა გამოუძებნა 17-18 წლის ფეხბურთელს კარგი გუნდი, თქმა რად უნდა, კარგ საქმეს უკეთებს მას. ოღონდაც ამ ასაკში ფეხბურთელის უცხოეთში გაშვება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული – სხვა გარემო, სხვა სიტუაცია, ენობრივი ბარიერი...სამაგიეროდ, კარგი მოედნები, კარგი პერსპექტივა, კარგი მწვრთნელები.... ერთი სიტყვით, აქ უკვე ყველაფერი ინდივიდზეა დამოკიდებული.

ზოგჯერ აგენტი ახალგაზრდა ფეხბურთელის ასაკის გადაკეთებას ცდილობს, 18 წლის მოთამაშეს 16 წლისად შეასაღებს მდიდარ რუსულ კლუბს – ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა მხარე კმაყოფილია, ოღონდაც თინეიჯერ ფეხბურთელს აქედანვე აჩვევენ თაღლითობას.

რაც დრო გადის, აგენტის ინსტიტუტი საქართველოში იხვეწება და მშობელი თუ ახალგაზარდა ფეხბურთელი ძნელად მოსატყუებელი ხდება.

თითქმის დინოზავრებივით გადაშენდნენ ისეთი მწვრთნელებიც, თავს ახალგაზრდა ფეხბურთელის პატრონად რომ ასაღებდნენ და მოთამაშის კლუბში ტრანსფერიდან ფულს შოულობდნენ. ბავშვების მწვრთნელს თვეში 300-400 ლარი რომ აქვს ჯამაგირი, ცხადია, ის ამის გაკეთებას ცდილობს, ასეთ მწვრთნელებს არაერთხელ გაუმართლათ ფულის შოვნაში, მაგრამ დღეს უკვე ძალიან გაძნელდა ასეთი ჰონორარის მონაგრება – მშობლები თანდათან გამოდიან დაშტერების ფაზიდან.

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები – ზოგჯერ ისინიც ჩარეულან ფეხბურთელების ტრანსფერებში და ასედაც უშოვიათ ფული, თავიანთი თანამდებობა გამოუყენებიათ საამისოდ.

ერთ დროს გაქნილად მუშაობდა ქართველების არხი რუსეთში, ფეხბურთელები ამ აგენტს აგენტად კი არა, თავიანთ მეგობრად, ხშირად ოჯახის წევრადაც კი მოიხსენიებდნენ. რუსეთში ცოტა ხნის წინათ, შედარებით ადვილი იყო ყველაფერი – აგენტი მწვრთნელთან იჭერდა საქმეს, მწვრთნელი კლუბის პრეზიდენტს არწმუნებდა, ეს ფეხბურთელი გვჭირდებაო, ტრანსფერის გაჩარხვის შემდეგ აგენტი ფულს მწვრთნელსაც უყოფდა. ეს აგენტი იმდენად შორს წავიდა, რომ ჟურნალისტებიც ჩასვა სინდიკატში, ტურის სიმბოლურში მისი ფეხბურთელის მოსახვედრად ფულს არ იშურებდა. ასეთ აგენტთან რეფორმატორულ საქართველოში ქვეყნის მნიშვნელოვან პირსაც კი დაუჭერია საქმე.

ამ წერილში ვერ ვასახელებთ კონკრეტულ გვარებს, რადგან ჩვენი პროფესია ამის საშუალებას არ გვაძლევს – ჟურნალისტური მტკიცებულებების მოპოვება ასეთ ფაქტებზე თითქმის შეუძლებელია, ოღონდაც საფეხბურთო სამყაროში თითქმის ყველამ თითქმის ყველაფერი კარგად იცის, მშობლებმა და დამწყებმა ფეხბურთელებმა კი – არა.

დავით თავართქილაძე

ჯონ ტერის სასამართლო

# ტერი ბრალდებას უარყოფს

## პირად ცხოვრებაში ჩარევას ის არავის აპატიებს

გუშინდელ ნომერში **ჯონ ტერის** სასამართლოს პირველ დღეზე ვწერდით. თემიდას ჩვენება **ანტონ ფერდინანდმა** მისცა, სადაც გაიმეორა, "ჩელსის" კაპიტანმა ასე და ასე შეურაცხმყოო. 10 ივლისს უკვე თავად ბრალდებულის ჯერი დადგა. ტერის თქმით, რასისტობაში მისი დადანაშაულება უსამართლობაა, რაც მას ძალიან აღიზიანებს. საქმის თავიდათავი სწორედ ის არის, რომ მან შეურაცხყოფას წინ სიტყვა "შავი" მიაყოლა, თორემ მხოლოდ უწმაწური სიტყვებისთვის სასამართლოში რომ არავის იბარებენ, მგონი ყველამ ვიცით. ანტონის ოჯახი კარიბის ზღვის აუზის რეგიონიდან არის და მას შავკანიანი წინაპრები ჰყავდა, ასე რომ... თუნდაც უბრალოდ, "შე შავოო", რასიზმია.

ფეხბურთელმა არ დამალა, რომ კოლეგას ნამდვილად მიმართა იმ "ეპითეტით", რაზეც თავად დაზარალებულმა წინა დღეს ილაპარაკა, მაგრამ მისი მტკიცებით, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ "სარკასტული გადამღერება" იმ ფრაზისა, რაც მას ფერდინანდისგან თავად ჰქონდა მოსმენილი. სრულად მისი ვერსია ასე ჟღერს: *"ის იმით იყო აღშფოთებული, რომ ჩემმა თანაგუნდელებმა ბურთი მოედანს მიღმა არ გადააგდეს, როცა ქუინზპარკელი ტრავმის გამო მიწაზე იწვა. მასთან მივედი და ეგრევე ცუდი რამ მომაძახა, არც მე დავაკელი პასუხი და გვერდზე გადავდექი. ამის მერე გავიგონე, როგორ ცდილობდა ჩემი პირადი ცხოვრების განსჯას. რატომ მადანაშაულებენ ყოველივეს მერე მე, ნამდვილად არ ვიცი".* **უეინ ბრიჯის** ყოფილ მეუღლესთან რომანის შეხსენებამ, როგორც ჩანს, ტერი "ჭკუიდან გადაიყვანა". პროკურორ **დანკან პერის** თქმით კი, ის დარწმუნებულია, რომ ჯონ ტერი იდეური რასისტი არ არის, მაგრამ არც იმაში ეპარება ეჭვი, რომ ფეხბურთელმა რასისტული გამონათქვამი გამოიყენა, რაკი საკუთარ ემოციებს ველარ აკონტროლებდა. ტერი ასეთ ფორმულირებას არ დაეთანხმა, განაცხადა რა, რომ ის პროფესიონალი ფეხბურთელია, დიდი ხანია შეჩვეულია, რომ სხვები ყოველ ნაბიჯზე ცდილობენ მის პროვოცირებას და მსგავს გამოხდომებზე, როგორც წესი, რეაქცია არ აქვს ხოლმე. *"ორ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს პირად ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა და მსგავსი რამ მილიონჯერ მომისმენია. პირველად სწორედ ანტონ ფერდინანდმა მიწოდა შავი ..., რამაც ძალიან გამაკვირვა. მე ეს მხოლოდ გავუმეორე. გავუმეორე იმიტომ, რომ ჩემს თავს ველარ ვაკონტროლებდი. თამაშის შემდეგ სპეციალურად მივედი მასთან და ვკითხე, ძალიან ნაწყენი ხომ არ იყო ჩემზე. მან ორჯერ გამიმეორა, რომ ინციდენტი ამოწურული იყო. მერე, როცა განცხადება პოლიციაში შეიტანა და მე რასისტობაში დამდო ბრალი, ძალიან გაკვირვებული და გაბრაზებული ვიყავი,"* – განაცხადა ტერიმ.



ჯონ ტერი

ჩელსი



გარი კეჰილმა (მარცხნივ) ჯო ჰარტთან შეჯახებისას ყბის უმძიმესი ტრავმა მიიღო

# კეჰილი დაბრუნდა

## რომეუს კი ბარსელონა არ აინტერესებს

"ჩელსის" 26 წლის ცენტრალურმა მცველმა **გარი კეჰილმა** სრულფასოვანი ვარჯიშები განაახლა. მოგეხსენებათ, ფეხბურთელმა ტრავმა ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში მიიღო. შემდეგ მომჯობინდა და "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა კიდეც, **როი ჰოჯსონმა** კი გარი სანაკრებო შეკრებაზე იხმო. კეჰილი მშვენიერ ფორმაში გახლდათ, თუმცა ბელგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში **დრის მერტენსმა** ხელი ჰკრა, **ჯო ჰარტს** დაეჯახა და ყბის ორმაგი მოტეხილობა მიიღო. ექიმებმა ფეხბურთელი შეკრებიდან უმალ გაათავისუფლეს. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გარი ისე მწყობრშია. *"ტრავმის გამო ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოვიარე, თუმცა ახლა უკვე ყველა პრობლემა მოგვარებულია. ექიმებმა რამდენიმე მეტალის ფირფიტა ჩამიდგეს დამტვრეული ძვლების მაგივრად, რათა ყბა უძრავად მქონოდა დაჭერილი. ასე მთელი ორი კვირა გავატარე. მთელი ეს დრო მხოლოდ მსუბუქ საკვებს ვილებდი. მოხარული ვარ, რომ შემიძლია ადამიანურ ცხოვრებას დავუბრუნდე,"* – უთხრა ფეხბურთელმა "ჩელსის" ვებგვერდს.

### ბენაიუნი შეიძლება დარჩეს

თუკი **რობერტო დი მატეო** მოისურვებს, **იოსი ბენაიუნს** არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ მომდევნო საფეხბურთო წელიწადი "ჩელსიში" გაატაროს. მოგეხსენებათ, 32 წლის ნახევარმცველმა 2011/12 წლების სეზონი "არსენალში" გაატარა, სადაც ის პრაქტიკულად მთელი სეზონი კარგად თამაშობდა. ვენგერმა მისდამი ნდობა მხოლოდ სეზონის მიწურულს დაკარგა. ებრაელ შუახაზელს ყველაზე მეტად რატომღაც "ემირეიტსზე" დაბრუნება არ სურს. *"ჩემი წასვლის შემდეგ "ჩელსიში" ბევრი რამ შეიცვალა. ვილაშ ბოაშმა არ გაამართლა. რობიმ კი დანიშვნისთანავე შეძლო გუნდის გამოღვიძება და როგორც ნახეთ, მათ სეზონი ტრიუმფალურად დაასრულეს,"* – აცხადებს ბენაიუნი.

### რომეუ ბლაუგრანას სამიზნეში

ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების ნახევარმცველი **ორიოლ რომეუ** ამტკიცებს, რომ მან არაფერი იცის "ბარსელონასა" და "ჩელსის" შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ და ის ლონდონური კლუბიდან წასვლას არ აპირებს. 20 წლის საყრდენი ნახევარმცველი სწორედ "ბლაუგრანას" აკადემიის აღზრდილია და "სტემფორდ ბრიჯზე" შარშან აგვისტოში გადავიდა სათამაშოდ. მას თითქმის ბრმად ენდობოდა **ანდრე ვილაშ ბოაში**, დი მატეოს ხელში კი სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა. აპენინელის დროს ის იშვიათად და ისიც შეცვლებზე თამაშობდა.

მანჩესტერ იუნაიტედი

# გადამწყვეტი წელიწადი

## გაჯიქებული უელბეკი და ძვირი ბერბატოვი

"მანჩესტერ იუნაიტედის" იტალიელმა თავდამსხმელმა ფედერიკო მაკედამ "ეშმაკების" რიგებში კარიერა გადამწყვეტი გოლის ავტორობით დაიწყო. "ასტონ ვილასთან" შეცვლაზე შესულმა 17 წლის ფეხბურთელმა ბირმინგემელებს გადამწყვეტი დარტყმა აგემა, "იუნაიტედს" კი სამი ქულა და პრაქტიკულად განაღდებული საჩემპიონო ტიტული მოუტანა. მას მერე 3 წელიწადი გავიდა, თუმცა ფედერიკოს სერიოზული პროგრესი არ განუცდია. ამის ახსნა მრავალი მიზეზით შეიძლება: "იუნაიტედში" უზარმაზარი კონკურენცია, ტრავმები და რაც მთავარია, უიღბლობა. თუმცა დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია. აპენინელი ხომ მხოლოდ 20 წლისაა. აი, რას ამბობს ის: *"მართლა მოუთმენლად ველით ახალი სეზონის დაწყებას. მშვენიერია, როცა მსოფლიოს კუთხეებს ვსტუმრობთ და ჩვენს გულშემატკივრებს ვეცნობით. 3 წლის წინ, როცა ძირითად გუნდთან ერთად პირველად გავემგზავრე ტურნეში, ნამდვილად არ ვიცოდი, რომ "იუნაიტედი" ასეთი გრანდიოზული კლუბი იყო. მალაიზიაში, ჩინეთში, კორეაში – ფანები ყველგან გვყავდა. მიხარია აქ დაბრუნება. როცა იჯარით სხვაგან ხარ, მაშინ ყველაზე მეტად გრძნობ, რა ბედნიერებაა ამ გუნდში თამაში. შარშან სეზონი თითქმის მთლიანად ჩავაგდე. "ქუინზ პარკში" სერიოზული ტრავმა მივიღე, თუმცა დღეს თავს უკვე კარგად ვგრძნობ. მომდევნო სეზონი ჩემთვის გადამწყვეტი იქნება ბევრი თვალსაზრისით".*



ფედერიკო მაკედა

### უელბეკი არ თანხმდება

**დენი უელბეკმა** "მანჩესტერ იუნაიტედისგან" ახალი გაუმჯობესებული, 4-წლიანი კონტრაქტი ჯერ კიდევ იანვარში მოითხოვა კატეგორიული ტონით, რაზეც სერ **ალექს ფერგიუსონისგან** მკვახე პასუხი მიიღო. "მანკუნიანელებმა" 21 წლის თავდამსხმელს კვირაში 15 ათასი ფუნტიდან ხელფასის 40 ათასამდე გაზრდა შესთავაზეს, მაგრამ უელბეკი დამატებით 20 ათასს ითხოვს. დენის უფროსი ძმა **კრის უელბეკი** (შეთავსებით მისი აგენტი) მიიჩნევს, რომ შარშან გატანილი 12 ბურთითა და ინგლისის ნაკრებში დამკვიდრების შემდეგ დენი იმსახურებს იმას, რასაც კლუბისგან ითხოვს. "ეშმაკების" თავკაცი ასე არ ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები მხარეთა შორის რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, შეთანხმება დღემდე ვერ ხერხდება. ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება 2013 წლის 1-ელ ივლისს ეწურება.

### ბერბატოვი არავის უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 31 წლის ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვი** ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის წინ აპირებდა "ოლდ ტრეფორდის" დატოვებას, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ეს ვერ მოახერხა. მთელი წლის განმავლობაში იწერებოდა, რომ ვეტერანი "იუნაიტედს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდა, მაგრამ... გავიდა ხანი და ფეხბურთელმა გუნდთან ერთად მორიგი სეზონისთვის დაიწყო მზადება. ისე, გასაკვირი არაფერია, რადგან თავის დროზე 30,8 მილიონ ფუნტად ნაყიდი თავდამსხმელის გაყიდვას ფერგი 10-ზე ნაკლებად არ აპირებს. პრაქტიკულად ორი წლის უთამაშებელ თავდამსხმელში კი აღნიშნულ თანხას არც ერთი კლუბი არ გადაიხდის, რომლის ხელმძღვანელობასაც ჭკუა მოეკითხება. "დეილი მირორი" წერს, რომ "მალაგა" და "ლევერკუზენი" ბერბას სიამოვნებით წაიყვანენ, ოღონდაც "ეშმაკებმა" მადა უნდა დაიოკონო.

ამბები

### პარაგვაის ახალი თავკაცი

"როიტერის" ცნობით, ივნისში დათხოვნილი **ფრანსისკო არსეს** ნაცვლად პარაგვაის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ასუნსიონის "ოლიმპიის" ყოფილი დამრიგებელი, 58 წლის **ხერარდო პელუსო** დაინიშნა. ფეხბურთის ფედერაცია სპეციალისტისგან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ითხოვს გუნდის გაყვანას. *"ჩვენ ვეძებდით ისეთ მწვრთნელს, რომელსაც შიდა ჩემპიონატში მუშაობის გამოცდილება აქვს და პარაგვაულ ფეხბურთს შიგნიდან იცნობს. პელუსო ერთადერთი იყო, ვინც ჩვენს მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებდა. დარწმუნებულები ვართ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია 2014 წელს ბრაზილიაში გასამართი ჩემპიონატის საგზურის მოპოვება,"* - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა **ხუან ანხელ ნაპუტმა**.

ამჟამად პარაგვაის კონმებოლის ზონაში მე-8 ადგილი უკავია და ბრაზილიაში გამსვლელ მეოთხე ადგილს 5 ქულით ჩამორჩება. 11 შეხვედრაში ამ დეფიციტის აღმოფხვრა შეუსრულებელი ამოცანა ნამდვილად არ არის.

### როდალიეგა ფულჰემში

"ფულჰემმა" "ქუინზ პარკში" გაქცეული **ენდი ჯონსონისა** და ორიოდე დღის წინ "რედინგში" გადაბარგებული **პაველ პოგრებნიაკის** შემცვლელი მონახა. "სანის" ცნობით, **მარტინ იოლის** გუნდში ითამაშებს "უიგანის" ყოფილი თავდამსხმელი **უგო როდალიეგა**. კოლუმბიელი თავისუფალი აგენტი გახლდათ და შესაბამისად, ლონდონელებმა ის უფასოდ დაიმატეს. სამხრეთამერიკელის სამსახურით "ევერტონიც" იყო დაინტერესებული და "სელტიკიც", თუმცა მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. გუნდის ჰოლანდიელ თავკაცს ერთი ფორვარდის დამატება კიდევ სურს.

### დროგბას ყველა აღიარებს

"ჩელსის" ყოფილი თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** IFFHS-ის (ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია) ვერსიით XXI საუკუნის საუკეთესო ბომბარდირი გამოდის. ის პირველი თავდამსხმელი გახდა, რომელმაც 100 გოლზე მეტი გაიტანა საერთაშორისო არენაზე. მას კვალში უდგას **მიროსლავ კლოზე**, "ბრინჯაო" კი წილად ხვდა **რუუდ ვან ნისტელროის**. მაშ ასე, ტოპათეული ასე გამოიყურება:

1. დიდიე დროგბა (კოტ დ'ივუარი) – 100; 2. მიროსლავ კლოზე (გერმანია) – 90; 3. რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია) – 87; 4 **ტიერი ანრი** (საფრანგეთი) – 85; 5. **სამუელ ეტო'ო** (კამერუნი) – 84; 6. **ლიონელ მესი** (არგენტინა) – 84; 7. **დავიდ ვილია** (ესპანეთი) – 80; **რაული** (ესპანეთი) – 78; 9. **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია) – 76, **ფლავიო ამადო** (ანგოლა) – 75.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ლივერპული



ენდი კეროლმა ლივერპულს იმედი გაუცრუა

# ახალი კონტრაქტები და გაცრუებული იმედი

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** "წითლების" ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში იმ ფეხბურთელებზე ილაპარაკა, რომელთა გარშემო მთელი ზაფხულის განმავლობაში ჭორები ვრცელდება. ჯერ სეზონი წესიერად დასრულებულიც არ იყო, რომ გაზეთები წერდნენ, "მანჩესტერ სიტის" **მარტინ შკრტელის** შეძენა აქვს განზრახულიო. შემდეგ უკვე "ენფილდიდან" **დანიელ აგერის** შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ. **ლუის სუარესის** თავს დატრიალებული ამბები მოგეხსენებათ. რასიზმში დადანაშაულებული ურუგვაელის ინგლისიდან წასვლაზე ყველა წერდა, ვისაც არ ეზარებოდა. *"ლუისთან გულთბილი სატელეფონო საუბარი მქონდა. დანიშვნის დღეს მან შეტყობინება გამომიგზავნა, სადაც წარმატება მისურვა, მითხრა, რომ ძალიან მოსწონდა "სუონსიში" ჩემ მიერ დანერგილი სათამაშო სქემა და ძალიან უნდოდა, მისი გადმოღება "ლივერპულშიც" გვეცადა. ის ოპტიმისტურადაა განწყობილი კლუბის სამომავლო გეგმებისადმი. იმედია, ახალ კონტრაქტს ხელს მალე მოაწერს. მოუთმენლად ველოდები მუშაობის დაწყებას შკრტელთან და აგერთან. ისინი კარგი ბიჭები არიან. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა პირისპირ ვესაუბრე. აგერმა პირდაპირ მითხრა, რომ არსად წასვლას არ აპირებს,"* – თქვა როჯერსმა.

სამაგიეროდ **ენდი კეროლის** გუნდიდან გაშვების ვარიანტი, თუნდაც იჯარით, როჯერსმა "ტელეგრაფთან" ინტერვიუში დაადასტურა. ახმახი თავდამსხმელის გადაბირება "ტოტენჰემს" სურს. "დეზები" ამ "ფრონტზე" იმ შემთხვევაში გააქტიურდებიან, თუკი "მანჩესტერ სიტიდან" **ემანუელ ადებაიორის** გადაბირებაზე ხელს საბოლოოდ ჩაიქნევენ. კეროლის წაყვანა "ფულჰემსაც" სურს, რაკი სეზონის დასრულების შემდეგ უკანასკნელმა ერთბაშად ორი თავდამსხმელი - **ენდი ჯონსონი** და **პაველ პოგრებნიაკი** დაკარგა. შესაძლოა, კეროლი "ლივერპულში" **კლინტ დემპსის** გადასვლის ერთ-ერთი წინაპირობადაც იქცეს. ენდის ერთწლიანი იჯარით გადაყვანა სურს "ვესტ ჰემსაც". "გარდიანის" ინფორმაციით, "ჩაქუჩები" მზად არიან, თუკი პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ, 2013 წლის ივლისში თავდამსხმელი 15 მილიონ ფუნტად გამოისყიდონ. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის იანვარში "ნიუკასლმა" მასში 35 მილიონი ფუნტი მიიღო.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## მოუკროსი უელსში

უელსის ნაკრების თავკაცმა **კრის კოულმენმა** გულწრფელად განაცხადა, რომ სერიოზულად ფიქრობს გუნდში "სტოკის" 24 წლის ცენტრალური მცველის **რაიან შოუკროსის** მიწვევას. "მანჩესტერ იუნაიტედის" აღზრდილმა ფეხბურთელმა დიდი ხანია დაკარგა ინგლისის ნაკრებში მიწვევის იმედი და მზადაა, უელსელთა წინადადებას დათანხმდეს. თითქოს საქმეს წინ ალარაფერი უდგას, მაგრამ... კოულმენს იქამდე **აარონ რემსისთან** სურს დალაპარაკება. 2010 წლის 27 თებერვალს სწორედ შოუკროსმა მოსტეხა ფეხი უელსელთა ერთ-ერთ ლიდერს. ფეხბურთელები მას მერე ერთმანეთს არ დალაპარაკებიან. მეტიც, სტოკელის ყოველი მცდელობა, რომ არსენალელს ბოდიში მოუხადოს, უკანასკნელის მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება.

## მეორე ექსჩელსელი ლილში

**სალომონ კალუსთან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ **რუდი გარსიას** გუნდში შეიძლება ჩაირიცხოს "ჩელსის" კიდევ ერთი ყოფილი წევრი **ჟოზე ბოსინგვა**. 29 წლის პორტუგალიელის მოთაფვლა "რომასაც" სურს. ჟოზე თავისუფალი აგენტია და "ძალლებს" მასში კომპენსაციის გადახდა არ მოუწევთ. ლიგა 1-ის ექსჩემპიონები **მატიე დებუშის** შემცვლელს ეძებენ, ვინც მალე ალბათ რომელიმე ევროპულ გრანდში გადავა.

## ნოტინგემი გაიყიდა

*"შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ უკვე "ნოტინგემ ფორესტის" ოფიციალური მესაკუთრე ვარ,"* – დაწერა თავის "ტვიტერზე" ქუვეითელმა ბიზნესმენმა **ფაზავ ალ-ჰასავიმ**. შეგახსენებთ, რომ მოლაპარაკებები კლუბის მმართველებსა და არაბ ბიზნესმენს შორის თებერვლის შემდეგ მიდიოდა. აღსანიშნავია, რომ ალ-ჰასავის ოჯახი ქუვეითში ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულად მიიჩნევა. ასე რომ, "მეტყევეთა" ტრადიციულ ფინანსურ პრობლემებს ალბათ დიდი ხნით დაესვა წერტილი.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ლა ლიგა. ტრანსფერები

# ბრაზილიელი აქეთ, ბრაზილიელი იქეთ

## ესპანეთში ჯერ წვრილ-წვრილი ტრანსფერების დროა

**ესპანურ პრიმერაში კვლავ ხორციელდება წვრილ-წვრილი ტრანსფერები, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.**



ნიკი ბილე ნილსენი ელვებს გააძლიერებს

### ვაკასოს კატალონიური შანსი

„ესპანიოლით" დავიწყოთ. ამ ბარსელონურმა კლუბმა „ვილიარეალისაგან" 21 წლის განელი ნახევარმცველი **ვაკასო მუბარაკი** შეიძინა. კატალონიელებს ეს გარიგება ძვირი არ დაჯდომიათ - სულ რაღაც 300 ათასი ევრო. ვაკასომ „ალბიასულესთან" კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდე გააფორმა. 2008 წლამდე ვაკასო სამშობლოში, „აშანთი გოლდში" გამოდიოდა, შემდეგ კი დაიწყო ესპანური კარიერა - ჯერ იყო „ელჩე", სადაც მუბარაკმა 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მაგრამ ამდენი ხანი ვერ გაძლო ვალენსიურ გუნდში - 2011 წლის დასაწყისში დისციპლინის რამდენჯერმე დარღვევის გამო ვაკასოს კარზე მიუთითეს, ის „ელჩედან" უბრალოდ გააგდეს. აფრიკელი მეორე ვალენსიურმა კლუბმა, „ვილიარეალმა" შეიფარა, ოღონდ სარეზერვო შემადგენლობაში. ვაკასოს დებიუტი ლა ლიგაში მალევე შედგა, თუმცა პირველ გუნდს ის უფრო გასულ სეზონში გაუშინაურდა, როცა „ვილიარეალის" მაისურით 17 მატჩი გამართა. ვაკასო მუბარაკი განის ნაკრებში ჯერ არ მიუწვევიათ.



ვაკასომ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება ესპანიოლში

### ჩაძირული ნავიდან გაქცეულნი

გავარდნილმა „ვილიარეალმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაკარგა - 24 წლის დანიელი ფორვარდი **ნიკი ბილე ნილსენი**. დანიელმა სეზონის მეორე ნახევარი იჯარით „ელჩეში" გაატარა, „რაიო ვალეკანოში" გადასვლის შესახებ კი თავად დაწერა „ტვიტერზე". *„მომავალ სეზონს ლა ლიგაში ვითამაშებ, შემიძლია გამოვაცხადო, რომ „რაიო ვალეკანოს" ფეხბურთელი ვარ".* ჯერჯერობით კლუბს ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად არ გამოუცხადებია, მაგრამ ფაქტია, ნილსენმა „ტვიტერზე" ფოტოც დადო. ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლია ნიკი ბილე ნილსენი „რაიო ვალეკანოს" მეორე შენაძენად ჩავთვალოთ. პირველი კი 24 წლის გარემარბი **ხოსე კარლოსია**. ეს ფეხბურთელი „სევილიადან" შეიძლება გახსოვდეთ, შარშანდელი სეზონი კი მან ათენის აეკ-ში გაატარა (4 გოლი). ხოსე კარლოსმა შარშან თბილისის „დინამოს" გაუტანა გამარჯვების გოლი ათენში.

„ვილიარეალის" კიდევ ერთი დანაკარგი **ჯონათან დე გუზმანია**, კანადის მოქალაქე ჰოლანდიელი. ყოფილ „ფეიენოორდელს" კარიერა მას მერე აეწება, რაც „მალიორკადან", სადაც ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი იყო, „ვილიარეალში" გადავიდა. გასულ სეზონში დე გუზმანი იმასაც კი ჩიოდა, „ვილიარეალის" ახალი მწვრთნელი პირადად არ მიცნობსო. აი, ასეთი დატანჯული 24 წლის ნახევარმცველი აიყვანა იჯარით პრემიერლიგის „სუონსი სიტიმ". *„ყოველ უქმეებზე ვუყურებდი პრემიერლიგას და „სუონსიმ" ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით მას მარე, რაც „მანჩესტერ სიტი" დაამარცხა. მიხარია, რომ ისევ მიქაელ ლაუდრუპთან მომიწევს მუშაობა",* - განაცხადა დე გუზმანმა.

### პაულაუ კარგია, მაგრამ ირინეი?

„ბეტისმა" „სენტ ეტიენის" 30 წლის ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **პაულაუ სანტოსი** ჩაიგდო ხელში. პაულაუმ სევილიურ კლუბთან 2015 წლამდე გააფორმა ხელშეკრულება და კიდევ ერთ სეზონს დაამატებს, თუკი 2015-ში მოისურვებს. პაულაუ ახალი სახე არაა „ბეტისში", შარშან ის იჯარით თამაშობდა ესპანურ კლუბში (17 თამაში). „სენტ ეტიენთან" ბრაზილიელს ხელშეკრულება 2014 წლამდე ჰქონდა, მაგრამ მხარეებმა ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაარღვიეს.

მეორე ბრაზილიელი და მეორე სანტოსი - **ირინეი სანტოსი** კი „ბეტისმა" ვერ შეინარჩუნა - „ბეტისის" კაპიტანმა კლუბი გამოიცვალა, ისევ ანდალუსიაში, ოღონდ „გრანადაში" გადაბარგდა. ირინეიმ სამი სეზონი ითამაშა „ბეტისში", ხელშეკრულების გაგრძელება კი აღარ ინება. „გრანადამ" კიდევ ორი ფეხბურთელი წარადგინა: **ბრაიან ანგულო** და **ხუანმა ორტისი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები**

| თარ | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 5 ივლ | ენეკო სატრუსტეგი | ოსასუნა | ნუმანსია | იჯარა |
| 5 ივლ | ლუის გარსია | სარაგოსა | ტიგრესი | იჯარა |
| 5 ივლ | ემილიო არმენტეროსი (არგ) | სევილია | ოსასუნა | თავ. აგენტი |
| 5 ივლ | რუბენ მინიო | ბარსელონა II | მალიორკა | თავ. აგენტი |
| 5 ივლ | ხოსე კარლოსი | აეკ | ვალეკანო | თავ. აგენტი |
| 5 ივლ | ბორხა ვიგერა | სოსიედადი | ალავესი | თავ. აგენტი |
| 5 ივლ | პაკო მონტანიესი | ალკორკონი | სარაგოსა | 0,5 მლნ. ევრო |
| 6 ივლ | ფრანკო სუკულინი (არგ) | ჰოფენჰაიმი | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 6 ივლ | ნაჩო ზაბალი | ოსასუნა | უესკა | იჯარა |
| 6 ივლ | დავიდ ბარალი | სპორტინგი | ორდუ | 3 მლნ ევრო |
| 6 ივლ | პედრო რიოსი | ხეტაფე | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 6 ივლ | დანი გარსია | სოსიედადი | ეიბარი | იჯარა |
| 6 ივლ | გონსალო კასტელანი (არგ) | ვილიარეალი | გოდოი კრუსი | თავ. აგენტი |
| 7 ივლ | კეილორ ნავასი (კ.რიკა) | ალბასეტე | ლევანტე | 0,2 მლნ. ევრო |
| 7 ივლ | სამუელ ლორკა | ერკულესი | სელტა | 0,45 მლნ. ევრო |
| 8 ივლ | არმანდო ლოსანო | ბარსელონა II | ვერაკრუსი | თავ. აგენტი |
| 8 ივლ | ალვარო გონსალესი | რასინგი | სარაგოსა | 1 მლნ. ევრო |
| 8 ივლ | სეიდუ კეიტა (მალი) | ბარსელონა | დალიანი | თავ. აგენტი |
| 8 ივლ | ირინეი სანტოსი (ბრა) | ბეტისი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 8 ივლ | ედინიო (პორტ) | მალაგა | აკადემიკა | იჯარა |
| 9 ივლ | იოსეფ ელ-არაბი (მაროკ) | ალ-ჰილალი | გრანადა | 5 მლნ ევრო |
| 9 ივლ | პაულაუ სანტოსი (ბრა) | სენტ ეტიენი | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 9 ივლ | ბრაიან ანგულო (კოლ) | ბალეარესი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 9 ივლ | ხუანმა ორტისი | რეინჯერსი | გრანადა | თავ. აგენტი |
| 9 ივლ | კრისტიან ფერნანდესი | რასინგი | ალმერია | თავ. აგენტი |
| 10 ივლ | იგორ გაბილონდო | ბილბაო | ლარნაკა | თავ. აგენტი |
| 10 ივლ | ჯონათან დე გუზმანი (კან) | ვილიარეალი | სუონსი | იჯარა |
| 10 ივლ | ადრიან სარდინერო | ხეტაფე | ერკულესი | თავ. აგენტი |
| 10 ივლ | ალბერტო ესკასი | ხეტაფე | ერკულესი | თავ. აგენტი |
| 10 ივლ | ნიკ ბილე ნილსენი (დან) | ვილიარეალი | ვალეკანო | თავ. აგენტი |
| 11 ივლ | დანი კარვახალი | რეალი II | ლევერკუზენი | 5 მლნ. ევრო |
| 11 ივლ | დავიდ ლომბანი | ხერესი | ბარსელონა II | თავ. აგენტი |
| 11 ივლ | ვაკასო მუბარაკი (განა) | ვილიარეალი | ესპანიოლი | 0,3 მლნ. ევრო |

● იუვენტუსი

# ხერხი სჯობია ღონესა
## არც ორი, არც სამი

ძველი ამბავია, რომ "იუვენტუსის" მიერ მოგებული სკუდეტოების რაოდენობას ტურინელები სხვანაირად ითვლიან, ფედერკალჩოს წარმომადგენლები კი სხვანაირად; ოფიციალურად, "ვეკია სენიორა" იტალიის 28-გზის ჩემპიონია, აი "იუვენტინოები" კი ამ ფორმულირებას არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ "ბიანკონერი" 30-ჯერ გახდა ქვეყნის საუკეთესო კლუბი. მოგეხსენებათ, იტალიაში ყოველ 10 საჩემპიონო ტიტულზე, გუნდს ერთი ვარსკვლავი ენიჭება და გამოდის, რომ ოფიციალურად ტურინელებს ორი ვარსკვლავი აქვთ, თვითონ კი სამს იჩემებენ. შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ ორი სკუდეტო "იუვეს" კალჩოპოლის ცნობილი პროცესების გამო ჩამოართვეს და ეს გაუგებრობებიც ამის შემდეგ დაიწყო.

დასრულდა თუ არა 2011/2012 წლების სეზონი, ტურინელებმა მაშინვე განაცხადეს, რომ "იუვეს" მაისურს სამი ვარსკვლავი დაამშვენებდა – ამას უმალ მოჰყვა რეაგირება ფედერკალჩოს მხრიდან, რომელიც საჯარიმო სანქციებით დაიმუქრა. რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში გამოჩნდა "ბიანკონერის" ახალი მაისურები, რომლებზეც სამი ვარსკვლავი გახლდათ გამოსახული და არა ორი; შესაბამისად, ფედერაციის



მირკო ვუჩინიჩი და არტურო ვიდალი "იუვენტუსის" ახალ ამუნიციაში

წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ კიდევ ერთხელ გაეკეთებინათ საჯარო განცხადება – მოვუსმინოთ ფედერკალჩოს ვიცე-პრეზიდენტ **დემეტრიო ალბერტინის**:

*"ჩემი ინფორმაციით, ტურინელები სამვარსკვლავიან მაისურებს ჩაიცმევენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გაფრთხილება ყურად არ იღეს. კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო მათ გონიერებისკენ, რადგან შემდეგ შეიძლება ყველაფერი გართულდეს. თუ ტურინელებმა თავისი არ მოიშალეს, მათ სერიოზული საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ და მინდა, რომ ეს აქედანვე იცოდნენ. საწყენია, რომ ისეთ დიდ კლუბთან, როგორიც "იუვენტუსია", ასეთ თემებზე გვიწევს დავა – იმედი მაქვს, ეს გაუგებრობა უმოკლეს დროში დასრულდება".*

ეს განცხადება ალბერტინიმ დაახლოებით ერთი კვირის წინ გააკეთა, გუშინ კი "იუვენტუსის" ახალი ამუნიციის პრეზენტაცია გაიმართა, რომელმაც ჟურნალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია - ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, თუ რამდენი ვარსკვლავი გამოსახეს მაისურაზე...

[illegible] და მაისურებზე [illegible] გამოსახავთ – კლუბის ლოგოტიპის ქვემოთ კი მიაწერეს: 30 გამარჯვება. ამას ნამდვილად არავინ ელოდა და ბუნებრივია, რომ პრესკონფერენციაზე ძირითადად სწორედ ამ ფაქტის შესახებ საუბრობდნენ – მოვუსმინოთ "იუვეს" პრეზიდენტ **ანდრეა ანიელის**:

*"ჩვენი სურვილი იყო, რომ მაისურზე 3 ვარსკვლავი გამოგვესახა, მაგრამ ფედერაციის წარმომადგენლებმა ამის უფლება არ მოგვცეს; რადგან არც ორის გამოსახვა გვსურდა, საერთოდ უარი ვთქვით ვარსკვლავზე და უბრალოდ წავაწერეთ: 30 გამარჯვება... ვფიქრობ, ოპტიმალური გამოსავალია, რადგან ამით არც საკუთარ პრინციპებს ვულალატებთ და ამასთან, საჯარიმო სანქციებსაც ავცდებით. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას ჩამორთმეული სკუდეტოების დასაბრუნებლად და დიდი იმედი მაქვს, რომ უსამართლობას მალე მოეღება ბოლო. "იუვენტუსი" 30-ჯერ გახდა ქვეყნის საუკეთესო კლუბი და ეს ვარსკვლავებშიც უნდა აისახოს".*

● სამპდორია

# მაქსი სამპაში ითამაშებს


მაქსი ლოპესი ბოლოს "მილანში" თამაშობდა

"კატანიას" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონში **მაქსი ლოპესი** "სამპდორიას" ღირსებას დაიცავს. ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ მაქსი "მილანის" მესვეურებმა არ გამოისყიდეს, თავად ფეხბურთელს კი სიცილიაზე დაბრუნების არანაირი სურვილი არ ჰქონდა. საქმე დაპირისპირებამდე მივიდა და ლოპესს „კატანიას" მთავარი გუნდიდან მოკვეთით დაემუქრნენ, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა – არგენტინელი ფორვარდის დამატების სურვილი "სამპდორიას" მესვეურებმა გამოთქვეს და საქმეც გაიჭრა. მოვუსმინოთ თავად ფეხბურთელს და ყველაფერში უკეთ გავერკვევით:

*"გენუური გუნდის მესვეურებმა ჩემი დამატების სურვილი გამოთქვეს, რამაც ძალიან გამახარა. ხელშეკრულება საიჯარო იქნება და თუ ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით თანამშრომლობით, შემდეგ უკვე ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი გაფორმდება. "სამპდორია" ყოველთვის მესიმპათიურებოდა და ძალიან მიხარია, რომ შეთანხმება შედგა. დარწმუნებული ვარ, ახალ გარემოსთან ადაპტაცია არ დამჭირდება და გულშემატკივრებსაც მალე შევაყვარებ თავს. ჩემი ინფორმაციით, გენუელებს დიდი მიზნები აქვთ დასახული და იმედი მაქვს, გუნდის წარმატებებში არცთუ მცირე წვლილს შევიტან".*

● ლეგენდა

# სუპერ-პიპო ატალანტაში?


ფილიპო ინძაგი

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გუშინ "კორიერე დელო სპორტმა", რომლის მიხედვითაც დიდია შანსი, მომდევნო სეზონიდან **ფილიპო ინძაგიმ** "ატალანტას" შემადგენლობაში იასპაროს. 38 წლის პიპომ "როსონერი" ამ ზაფხულს დატოვა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო, თუმცა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, აგრძელებს კარიერას თუ ბუცები ლურსმანზე უნდა ჩამოკიდოს. სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა "ატალანტას" ვარიანტი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას ერთს პლუს ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს.

სუპერპიპო საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს და ამის შესახებ თავად განაცხადა: *"კარიერის დასრულება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი მქონდა, როდესაც ბერგამოდან ძალიან საინტერესო წინადადება მივიღე. მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მჭირდება და ამიტომ, რაიმეს გადაჭრით თქმა გამიჭირდება. ისე კი ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "ატალანტას" სამწვრთნელო შტაბს, რომლებიც მენდნენ და თანამშრომლობა შემომთავაზეს – რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მივიღო, მათი ყოველთვის მადლობელი ვიქნები".*

● პალერმო

# სანინოს ბალცარეტი სჭირდება
## და კიდევ ორი-სამი ფეხბურთელი



ფედერიკო ბალცარეტი

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, **ფედერიკო ბალცარეტის** მიმართ ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა და "პალერმოს" მესვეურებსაც სერიოზული შეტევების მოგერიება უწევთ. ყველაზე მეტად "იუვენტუსის" ხელმძღვანელები აქტიურობდნენ, შემდეგ ნეაპოლელები წამოვიდნენ წინა პლანზე, ბოლო დროს კი ფრანგული პსჟ-ც ჩაერთო საქმეში... ამ ამბავმა "პალერმოს" ახალი მთავარი მწვრთნელი, **ჯუზეპე სანინო** აალელვა და იძულებული გახდა, საგანგებო განცხადება გაეკეთებინა:

*"ბალცარეტი რომ ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, ეს ევროპის ჩემპიონატამდეც ვიცოდი და ძალიან მიკვირს, რომ მასზე როგორც აღმოჩენაზე, ისე საუბრობენ, ფედერიკოს მიმართ არაერთი გრანდი იჩენს ინტერესს, მაგრამ გადაწყვეტილი ამბავია - ის "პალერმოში" დარჩება. ბალცარეტის პირადად ვესაუბრე და მისი პოზიციაც კარგად ვიცი – სურს, კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი ჩვენთან ითამაშოს".*

ჯუზეპე სანინომ "პალერმოს" სატრანსფერო გეგმებზეც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"კმაყოფილი ვარ იმ შემადგენლობით, რომელიც "პალერმოში" დამხვდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაძლიერებაზე არ უნდა ვიფიქროთ. კარგი იქნება ორ-სამ მაღალი კლასის მოთამაშეს თუ დავიმატებთ, რომელთაგან ერთი აუცილებლად გარემარბი უნდა იყოს. ამ საკითხებზე კლუბის პრეზიდენტთან მქონდა საუბარი და სრულ მხარდაჭერას დამპირდა. დიდი იმედი მაქვს, რომ მაურიციო ძამპარინი მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოიყენებს, რათა ახალ სეზონში ევროსაგზურისთვის მებრძოლი გუნდი გვყავდეს".*

● მილანი

# გალიანიმ ტიფოზები დაამშვიდა
## მაგრამ იბრას და სილვას პსჟ უმიზნებს

ვინც კი ბურთს აგორებს, პსჟ ყველას შეძენას ცდილობს და რა გასაკვირია, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და **ტიაგო სილვაზეც** უჭირავს თვალი; დიახ, "მილანის" ვარსკვლავები კვლავაც ფრანგული კლუბის ინტერესის სფეროში არიან და მეტიც, ბოლო დღეებში პარიზელები ისე გააქტიურდნენ, როგორც არასდროს. "გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პსჟ-ს მესვეურები მილანში გახლდნენ ჩასულები და კოლეგებს ამ ორი ფეხბურთელის სანაცვლოდ 60 მილიონი ევრო შესთავაზეს – ბუნებრივია, ეს თანხა ლომბარდიელებს სასაცილოდ არ ეყოთ და მინიმუმ გაორმაგებაზე ჩამოუგდეს სიტყვა... მოლაპარაკების სხვა დეტალები ავტორიტეტული გამოცემისთვის უცნობია, მაგრამ სამაგიეროდ, **ადრიანო გალიანის** ჩამოართვეს კომენტარი და უმჯობესია, რომ სიტყვა პირდაპირ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს გადავცეთ:

*"სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ ვაპირებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 31 აგვისტომდე არაფერი შეიცვლება. სიურპრიზები ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს და ეს გულშემატკივრებმაც უნდა იცოდნენ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იბრაჰიმოვიჩსა და სილვას ვყიდით? – არა, არა მგონია, რომ ფრანგებმა იმდენი გადაიხადონ, რამდენსაც ჩვენ ამ ორ მოთამაშეს ვაფასებთ. ასე რომ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიაგო სილვა

## უცხოური ფეხბურთი

ტრანსფერი



აკაკი გოგია

# აკაკი გოგია ზანქტ პაულიშია

## მწვრთნელი მასზე დიდ იმედებს ამყარებს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „ვოლფსბურგისა" და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წარმოშობით ქართველმა ნახევარმცველმა **აკაკი გოგიამ** „აუგსბურგი" დატოვა, სადაც ერთი წლით იყო განათხოვრებული და ისიც გაუწყეთ, რომ 20 წლის ქართველს „ზანქტ პაულიში" ეპატიჟებოდნენ. გუშინ საბოლოოდ გაირკვა და დადასტურდა, რომ გოგია მომავალ სეზონს სწორედ მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელში, ასევე არენდის წესით გაატარებს.

*„აკაკის სახით კიდევ ერთი ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელი გადმოვიბირეთ. გოგია ძალიან კარგი შემტევი ნახევარმცველია, რომელსაც ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში,"* - განაცხადა „ზანკტ პაულის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრე შუბერტმა.**

*„ჰერ შუბერტმა პირველივე საუბრისას დამარწმუნა, რომ ძალიან ვჭირდები და მიხარია, რომ ისეთ ბრწყინვალე კლუბში მოვხვდი, როგორიც „ზანქტ პაულია". ვფიქრობ, ეს ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ როგორც მწვრთნელისა და ხელმძღვანელობის, ასევე „პაულის" შესანიშნავი გულშემატკივრების იმედები გავამართლო,"* - ეს თავად აკაკის სიტყვებია.

გასული სეზონის მეორე ნახევარი გოგიამ ლაზარეთში გაატარა, ახლა კი სრულად გამოჯანმრთელებულია. მან „ზტ. პაულის" ფორმა უკვე მოირგო - „აინდლინგთან" ტესტ-მატჩში (6:0) ითამაშა და გოლიც გაიტანა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჩელსი შიურლეს არ ეშვება

## ლონდონელები ლევერკუზენს უკვე 25 მილიონს სთავაზობენ



გადავა ანდრე შიურლე ჩელსიში?

ლონდონის „ჩელსიმ" „ლევერკუზენისა" და გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველის, **ანდრე შიურლეს** გადაბირება პირველი ცდით ვერ შეძლო, მაგრამ „არისტოკრატები" 21 წლის გარემარბისთვის ბრძოლას აგრძელებენ. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ინფორმაციით, „ჩელსიმ" „ბაიერს" ახალი, გაუმჯობესებული წინადადებით მიმართა.

ამ ინფორმაციას ბრიტანული „ტელეგრაფი" ავრცელებს. ცნობილია, რომ ორიოდე დღის წინ ლონდონელებმა ლევერკუზენელებს შიურლეს სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს. უახლესი ცნობებით, „ჩელსი" „ბაიერს" ახლა 25 მილიონს სთავაზობს.

გერმანული კლუბის ბოსმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა** კი თქვა, ანდრეს გაყიდვას არ ვაპირებთ – მორჩა და გათავდაო, მაგრამ 25 მილიონი ევრო უკვე სერიოზული თანხაა და თანაც, ჯერჯერობით არავინ იცის, რას ფიქრობს თავად შიურლე, რომელიც „ჩელსიში" გადაბარგების შემთხვევაში თანამემამულე **მარკო მარინის** თანაგუნდელი გახდებოდა, რომელიც ლონდონელებმა ბრემენის „ვერდერიდან" იყიდეს.

ტრანსფერი

# რეალის მცველი ლევერკუზენშია!

## ფარმაცევტებს დანიელ კარვახალი 5 მილიონი დაუჯდათ



დანიელ კარვახალი (მარცხნივ) და კრიშტიანო რონალდო რეალის ვარჯიშზე

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ მადრიდის „რეალის" მეორე გუნდის წევრი, ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **დანიელ კარვახალ რამოსი** კარიერას გერმანიაში, კერძოდ ლევერკუზენის „ბაიერში" გააგრძელებს. 20 წლის კარვახალმა, რომელიც 2011 წელს ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონი გახდა, გერმანულ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერს" ეს ტრანსფერი 5 მილიონი ევრო დაუჯდა. ესპანური მედია ამტკიცებს, რომ ამ ტრანსფერში დიდი წვლილი თავად **ჟოზე მოურინიოს** მიუძღვის.

*„ფაქტი იყო, რომ გასულ სეზონში ყველაზე მეტად დაცვის მარჯვენა ფლანგზე გვიჭირდა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახლა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მარჯვენა მცველი გვყავს. დანიელ კარვახალი უკვე მაღალი კლასის ფეხბურთელია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, რაც იმას ნიშნავს, რომ წინ დიდი მომავალი აქვს,"* - ეს ლევერკუზენელთა სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია.


# დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული დამამშვიდებელი, საძილე საშუალება




ჩვენებები:

- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა
- აკვიატებული აზრები, ფსიქიკური გაღიზიანებადობა.
- დეპრესია.

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს


მომავალი მწვრთნელი




შტეფან ეფენბერგმა მწვრთნელის A ლიცენზია აიღო

# ეფე, მოუს პრაქტიკანტი?

## შტეფანი უკვე ჩამოყალიბებული მწვრთნელია

**შტეფან ეფენბერგი** მწვრთნელობას რომ აპირებს და A ლიცენზია აიღო, ამაზე ადრეც ვწერდით. ახალი ის არის, რომ ლეგენდარულ გერმანელ ნახევარმცველს ახლა პროგრესი და განვითარება პრაქტიკული კუთხითაც სურს და სერიოზული გეგმები აქვს.

*„მინდა, რომ რამდენიმე კვირა ჟოზე მოურინიოსთან გავატარო და ვნახო, როგორ მუშაობს პორტუგალიელი სპეციალისტი, რომელსაც, როგორც მწვრთნელს, უდიდეს პატივს ვცემ. თუ ჟოზესთან პრაქტიკა არ გამოვიდა, სერ ალექს ფერგიუსონს მივმართავ,* - აცხადებს 43 წლის ეფენბერგი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და დასძენს, - *პრინციპში, თითქმის მზად ვარ იმისათვის, რომ ბუნდესლიგაში ვიმუშაო. მთავარია, კლუბში შექმნილი ვითარება და ხელმძღვანელების კონცეფცია მომეწონოს. ისიც ვიცი, რომ სამწვრთნელო კარიერას რეგიონალლიგიდან ან თუნდაც მესამე ბუნდესლიგიდან ნაღდად არ დავიწყებ."*

ხსენებულ ინტერვიუში ეფე **მათიას ზამერის** „ბაიერნის" სპორტულ დირექტორად დანიშვნასაც გამოეხმაურა და რეკორდმაისტერის ახალი ბოსი მაგრად აქო. შტეფანის თქმით, ზამერს აქვს ყველაფერი, რაც ამ დონეზე მომუშავე ფუნქციონერს სჭირდება და იქვე დაამატა, „ბაიერნს" სწორედ ასეთი ფიგურა სჭირდებოდაო. ეფენბერგის აზრით, ზამერის ერთ-ერთი უმთავრესი მისია „ბაიერნში", კადრების მხრივ, „ეგოისტი" **არიენ რობენის** „მორჯულება" იქნება".

დორტმუნდის ბორუსია

# კლოპი ჰიტცფელდს მიჰბაძავს

## იურგენი როტაციებს აპირებს

დორტმუნდის „ბორუსია" ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და წინა სეზონში გერმანიის თასიც მოიგო, რაც ბრწყინვალე წარმატებაა, მაგრამ დორტმუნდელებს გულში დიდ ხინჯად აქვთ ჩარჩენილი ის, რომ ჩემპიონთა ლიგაში სასტიკად შერცხვნენ – შეგახსენებთ, BVB ჯგუფში ჩარჩა. იმისათვის, რომ მომავალ სეზონში ასეთი რამ აღარ განმეორდეს, დორტმუნდელთა თავკაცი **იურგენ კლოპი** ძირითად შემადგენლობაში ხშირ როტაციაზე და ძალების შეძლებისდაგვარად თანაბრად გადანაწილებაზე ფიქრობს.

საფეხბურთო გერმანიაში „როტაციის მეფედ" **ოტმარ ჰიტცფელდი** მიიჩნევა (ახლა შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელია), რომელმაც ასეთი მიდგომით გერმანულ კლუბებს („დორტმუნდი", „ბაიერნი") 7-ჯერ მოაგებინა ბუნდესლიგა, 3-ჯერ თასი და 2-ჯერ ჩემპიონთა ლიგა.

*„შარშან და შარშანწინ მოკლე სათადარიგოთა სკამი გვქონდა. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ამბიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჩემპიონთა ლიგაში განცდილმა ფიასკომ კი მიმახვედრა, რომ უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვჭირდებოდა. როცა ერთი ფორმაში არ იქნება, ან ტრავმა ექნება, ანაც დისკვალიფიკაცია, იგი მეორემ ღირსეულად უნდა შეცვალოს და ა.შ. ჩვენ უკვე შევძელით ღირსეული ალტერნატივების გადმობირება და ახალ სეზონში ხარისხიანი როტაციის შესაძლებლობა მომეცემა,"* - აცხადებს კლოპი.

მაგალითი: ნახევარდაცვაში იურგენს მართლაც იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, რომ ორ გუნდს ეყოფოდა: **მარიო გიოტცე** (20 წლის), **მარკო როისი** (23), **სვენ ბენდერი** (23), **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** (26), **ილქაი გიუნდოგანი** (21), **ივან პერიშიჩი** (23), **კევინ გროსკროიტცი** (23), **მორიტც ლაიტნერი** (19), **ლეონარდო ბიტენკური** (18) და **სებასტიან კელი** (32).

კლოპი ამაყობს: *„როცა ერთ კვირაში ორი მატჩის ჩატარება მოგვიწევს, შანსი ყველას მიეცემა და მჯერა, რომ ბიჭები იმედებს არ გამიცრუებენ."*




დორტმუნდის ბორუსიას მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი

ამბები

### ვილაშ ბოაშის ასისტენტი ფროინდი იქნება

„ტოტენჰემის" ახალი მთავარი მწვრთნელის, **ანდრე ვილაშ ბოაშის** ასისტენტად გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **შტეფენ ფროინდი** დაინიშნა. საიდან სადაო? 42 წლის ფროინდს, რომელიც 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 1999-დან 2003 წლამდე „სპურზში" 120 მატჩი (!) აქვს ჩატარებული. შტეფენი 2009 წლიდან გერმანიის საფეხბურთო კავშირში მუშაობდა და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს წვრთნიდა, ბოლოს გერმანიის 16-წლამდელთა ნაკრებს ედგა სათავეში. მანამდე კი 17-წლამდელების ბუნდესგუნდს ავარჯიშებდა, რომელსაც ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე (სერბეთში) მეორე ადგილი დააკავებინა. იმავე წელს, ფროინდის გუნდმა მექსიკაში გამართულ მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავა.

### ბერძენი მეკარე დიუსელდორფში

პირველ ბუნდესლიგაში ალზევებულმა დიუსელდორფის „ფორტუნამ" ბერძენი კიპერი **ნიკოლაოს პაპადოპულოსი** გადაიბირა. 22 წლის მეკარე „ფორტუნაში" „ოლიმპიაკოსიდან" გადავიდა და დიუსელდორფულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### გერერო კორინთიანსში წავიდა

„ჰამბურგის" პერუელი თავდამსხმელი **პაულო გერერო** კარიერას ბრაზილიაში, კერძოდ „კორინთიანსში" გააგრძელებს – ცნობა ტრანსფერის შესახებ გუშინ, ოფიციალურად, „ჰამბურგის" სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** დაადასტურა. გერერო ბრაზილიაში გუშინ გაემგზავრა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. პაულო გერერომ „ჰამბურგის" ფორმით ბუნდესლიგაში 134 მატჩი ჩაატარა (37 გოლი, 16 პასი), მანამდე კი, 2002-დან 2006 წლამდე მიუნხენის „ბაიერნში" თამაშობდა, სადაც 27 შეხვედრაში 10 გოლის გატანა (9 პასი) შეძლო.

### აუგსბურგმა სიო ინათხოვრა

„ვოლფსბურგმა" შემტევი ნახევარმცველი **ჯოვანი სიო** ერთი წლით „აუგსბურგში" გაანათხოვრა – არენდის დეტალები არ გახმაურებულა.

*„დარწმუნებული ვარ, რომ „აუგსბურგში" მუდმივად ვითამაშებ და განვვითარდები. ახლა ყველაზე მეტად სათამაშო პრაქტიკა მჭირდება,"* - უთხრა „კიკერს" 23 წლის ფრანგმა, რომელიც „ვოლფსბურგმა" იანვარში შვეიცარიული „სიონიდან" გადაიბირა. სიომ ბუნდესლიგის მეორე წრეში „მგლების" ფორმით 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# ორი მარიო და ამბიციური კლაუდიო

## რას უპირებს ჰაინკესი სამ კარგ თავდამსხმელს?



კლაუდიო პისარო, მარიო გომესი და მარიო მანჯუკიჩი: „ბაიერნის" თავდასხმაში უდიდესი კონკურენციაა

**მიუნხენის „ბაიერნს" ახალი სეზონისთვის სამი მაღალი დონის ცენტრფორვარდი ჰყავს: მარიო გომესი (26 წლის), მარიო მანჯუკიჩი (26) და კლაუდიო პისარო (33). ეს იმას ნიშნავს, რომ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, რომელსაც რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი, ალბათ, არ შეცვლის, წინა ხაზზე უმძაფრესი კონკურენციაა.**

ბავარიელებს წინა სეზონშიც სამი ფორვარდი ჰყავდათ, მაგრამ **ივიცა ოლიჩი** („ვოლფსბურგში" გადავიდა) თითქმის სულ ტრავმირებული იყო, **ნილს პეტერსენს** („ვერდერში" წავიდა) ძირითად შემადგენლობაში თამაშის სერიოზული პრეტენზია არ ჰქონია. ახალწვეულები პისარო და მანჯუკიჩი კი გაცილებით (და სამართლიანად) ამბიციური თავდამსხმელები არიან, რომლებიც სკამზე ჯდომას ასე იოლად არ შეეგუებიან. მაშ, რას და როგორ უნდა გეგმავდეს ჰაინკესი?

ჩემპიონთა ლიგის ისეთი უმნიშვნელო და ფეხბურთის ისტორიისთვის უსარგებლო მატჩი, როგორიც იყო „ბარსელონა"-ბატე ალბათ აღარ გახსოვთ. ეს შეხვედრა 2011 წლის დეკემბერში გაიმართა: „ბარსას" მეორე გუნდმა ბელარუსის ჩემპიონი 4:0 გაანადგურა. ერთი დღის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩი მიუნხენის „ბაიერნმაც" ფაქტობრივად სარეზერვო შემადგენლობით ჩაატარა და „მანჩესტერ სიტისთან", უშანსოდ, 0:2 დამარცხდა. ეს ორი შეხვედრა და ზოგადად ის დღეები მხოლოდ „ბაიერნის" ხელმძღვანელებისთვის გამოდგა მნიშვნელოვანი, რადგან **ული ჰიონესი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მიხვდნენ, რომ რეკორდმაისტერის ყოფილი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** სასტიკად შეცდა, როცა კადრების შემცირება მოითხოვა და მიხვდნენ იმასაც, რომ თუ ამბიციურ გუნდს ევროსარბიელსა თუ შიდა ჩემპიონატში ხანგრძლივად სურს წარმატებულ გზაზე სიარული, ყველა პოზიციაზე მინიმუმ ორი კარგი მოთამაშე უნდა ჰყავდეს.

ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** იმავე საღამოს დაიჩივლა, „ბარსამ" მეორე შემადგენლობით 4:0 მოიგო, ჩვენ კი აბსოლუტურად უშანსოდ დავმარცხდით, რაც ყველაფერზე ცხადად მეტყველებსო. „დონ იუპმა" ამით ფეხბურთელის მოყვარული ვან გაალიც გააკრიტიკა და ხელმძღვანელებიც, რომლებმაც თავის დროზე ჰოლანდიელს დაუჯერეს.

მას მერე ბავარიელებს სხვა პრიორიტეტები აქვთ: სწორედ მაშინ დაგეგმეს გუნდის გაფართოება, რათა ტრავმებმა, დისკვალიფიკაციებმა და სხვა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა მიზეზებმა გუნდს გაუთვალისწინებელი ზარალი არ მიაყენოს. სწორედ ამიტომ გადაიბირა „ბაიერნმა" „გლადბახის" მცველი **დანტე**, ამიტომ სურს ბილბაოელი **ხავი მარტინესის** ყიდვაც და ამიტომ გაიფორმა ზემოთ ხსენებული ფორვარდები – მანჯუკიჩი და პისარო. ჰაინკესი ამბობს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში პისარო და მანჯუკიჩი რომ მყოლოდა, შეიძლება, „ჩელსისთან" არ წაგვეგო, რადგან წინა ხაზის გაძლიერებას შევძლებდიო.

ბავარიელები დიდხანს ფიქრობდნენ და ელოლიავებოდნენ ბოსნიელ **ედინ ჯეკოს**, მაგრამ ბოლოს არჩევანი იაფ და მუშა ვარიანტზე შეაჩერეს – პრეზიდენტი ჰიონესი ხორვატ მანჯუკიჩს „ბომბს" უწოდებს და დარწმუნებულია, რომ ეს ბომბი მიუნხენში აუცილებლად აფეთქდება. მანჯუკიჩი ერთი მხრივ ისეთი თავდამსხმელია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და ამავდროულად, სათადარიგოთა სკამზე ჯდომის შემთხვევაში არ გაბრაზდება ისე, როგორც ჯეკო გაბრაზდებოდა.

### პირველი მაინც გომესია, თუმცა...

ჰაინკესი თავდასხმაში შექმნილ კონკურენციას ასე აღწერს: *„თავდასხმისთვის რომელიმე ძვირად ღირებული სუპერვარსკვლავი რომ გვეყიდა, მაშინვე დაიწყებოდა დისკუსიები, ვინ უნდა ითამაშოს ძირითადში – გომესმა თუ ამ „მისტერ იქსმაო". მანჯუკიჩის შემთხვევაში კი ასეთი დისკუსია არ დაწყებულა, რაც ძალიან კარგია. თუმცა ხორვატ მარიოს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ მატჩში შეუძლია გომესის ღირსეულად შეცვლა. იგივე ეხება გამოცდილ და გამობრძმედილ პისაროსაც, რომელსაც ასევე არ ეპიტნავება სკამზე ჯდომა და გომესსა და მანჯუკიჩს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს."*

„დონ იუპის" ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნის" წინა ხაზის იერარქიაში პირველი ცენტრფორვარდი ისევ გომესია, მაგრამ ახლა უკვე გაცილებით სერიოზული კონკურენტები ჰყავს. თავად განსაჯეთ: გომესმა, მანჯუკიჩმა და პისარომ ბუნდესლიგის გასულ სეზონში ერთად 56 გოლის გატანა მოახერხეს!

ანუ, თუ ერთი (გომესი) ფორმიდან ამოვარდა ან უიღბლობა დასჩემდა, მიუნხენელები მის აზრზე მოსვლას კი აღარ დაელოდებიან და ამის გამო ქულებს დაკარგავენ, არამედ მეორეს ათამაშებენ, რომელსაც მესამის სახით ასევე ღირსეული შემცვლელი ეყოლება და ა.შ.

*„ბაიერნის" დარ გრანდში სასტარტოში თამაშის გარანტიას ვერავინ მოგცემს და კონკურენციას უნდა შეეგუო. თუმცა რეკორდმაისტერი მთელი სეზონის განმავლობაში იმდენ თამაშს ატარებს ხოლმე, რომ ყველას მიეცემა შანსი. მე მჯერა, რომ მანჯუკიჩი „ბაიერნში" თავის თავს იპოვის და იმედებს გაამართლებს,"* - ეს მანჯუკიჩის თანამემამულე **ივიცა ოლიჩის** სიტყვებია, რომელმაც „ბაიერნი" თავის თავზე გამოსცადა და ახალი სეზონიდან „ვოლფსბურგისთვის" შეუტევს.

ჰაინკესმა ტაქტიკის შეცვლა და ორფორვარდიან სქემაზე გადასვლა არ გამორიცხა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ „დონ იუპმა" ტაქტიკა შეცვალოს. გამოდის, რომ შეხვედრების აბსოლუტურ უმეტესობაში „ბაიერნი" მხოლოდ ერთი ცენტფორვარდით ითამაშებს და ეს ერთი ბედნიერი ან გომესი იქნება, ან მანჯუკიჩი და ანაც პისარო.

### ვინ როგორ ივარგა გასულ სეზონში

ბაიერნის თავდამსხმელების სტატისტიკა ბუნდესლიგა 2011/12-დან

| ფეხბურთ. | გომესი | პისარო | მანჯუკიჩი |
|---|---|---|---|
| გოლი | 26 | 18 | 12 |
| მარჯვენა ფეხით | 14 | 11 | 5 |
| მარცხენა ფეხით | 7 | 2 | 0 |
| თავით | 5 | 5 | 7 |
| პენალტით | 4 | 2 | 1 |
| საგოლე პასი | 3 | 10 | 10 |




### ზამერი ჰაინკესს მიუჯდა!

#### ბაიერნს ტესტ-მატჩი ალაბამ მოაგებინა

**გუშინწინ „ბაიერნმა" ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდის ფარგლებში პირველი ტესტ-მატჩი გამართა და „უნტერჰახინგი" გვიანი გოლით 1:0 დაამარცხა. ეს ერთადერთი გოლი რეკორდმაისტერის მარცხენა მცველის, ახალგაზრდა ავსტრიელი ფეხბურთელის, დავიდ ალაბას ანგარიშზეა. იუპ ჰაინკესმა ძირითად შემადგენლობაში შტარკეს (მეკარე), დანტეს (მცველი), შაჩირის (ნახევარმცველი) და ვაიზერის (ნახევარმცველი) სახით ოთხი ახალწვეული ათამაშა და მიუნხენურ გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ეტყობოდა, რომ ეს პირველი შეხვედრა იყო და რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები ჯერ კიდევ შვებულებაში არიან.**

**მიუნხენელებმა შეხვედრა დუნედ ჩაატარეს პირველ ტაიმში ერთადერთი რეალური მომენტი ისევ და ისევ ალაბას ჰქონდა. რეკორდმაისტერმა ვერც მეორე ტაიმში მოუმატა და თამაში ალაბას კარგად შესრულებული ჯარიმით მოიგო. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" ახალი სპორტული დირექტორი მათიას ზამერი სათადარიგოთა სკამზე, ჰაინკესის გვერდით იჯდა.**

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



ქართული სპორტი

ძიუდო. მეტოქე

# იაპონური უჩიმატა

## კუნძულელთა უცნაური არჩევანი

**ახლოვდება** ლონდონის ოლიმპიადა და გაირკვა ძიუდოისტთა ტურნირის ყველა მონაწილე ანუ ჩვენებურთა მეტოქეები. ამ გრძელი სიიდან, თქვენს ყურადღებას, ჩვენთვის როგორც განსაკუთრებით საინტერესოზე, მხოლოდ რამდენიმე გუნდზე მივაკრობთ.

დავიწყოთ იაპონიის ნაკრებით, რომლის შემადგენლობაც, ვფიქრობთ, ყველას გამორჩეულად აინტერესებდა. იქაურები ხომ ნებისმიერი შეჯიბრების ფავორიტთა შორის არიან, ხოლო ახლანდელ სალიცენზიო რეიტინგში ყოველ წონაში რამდენიმე ლიცენზიატი ჰყავთ ანუ ლონდონში გამოსვლა წინასწარ განალდებული არავის ჰქონდა. თუმცა მათ მიერ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაგზავნილმა განაცხადმა ჩვენი ყურადღება 90 კილოგრამის, ანუ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო წონის გამო მიიქცია - იქ ოლიმპიადაზე არა **ვარლამ ლიპარტელიანისთვის** უხერხული მეტოქე და რეიტინგის საუკეთესო იაპონელი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი **დაიკი ნიშიამა,** არამედ მისი მოგვარე, თუმცა კი მწირტიტულიანი **მასაში ნიშიამა** დააყენეს! იაპონელთაგან ლონდონში სხვა წონებში აზიის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები - **მასაში ებინუმა** (66) და **რიკი ნაკაია** (73), იაპონიის ჩემპიონი **ტაკაჰირო ნაკაი** (81), მსოფლიოს ექს-ჩემპიონები, **ტაკამასა ანაი** (100) და **დაიკი კამიკავა** (აბსოლუტური) გამოვლენ.



მასაში მიშიამა (თეთრ კიმონოში)

ამათგან სალიცენზიო რეიტინგებში იაპონელთაგან ყველა პირველი ნომერი იყო, მხოლოდ ჰიროაკა და მასაში ნიშიამა ჩამორჩებოდნენ თანაგუნდელებს. ჰიროაკას მაგალითი კიდევ გასაგებია - შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შარშანწინ - მესამეზე გავიდა, იმის წინ როტერდამშიც ფინალი იჭიდავა ანუ კაცი ბოლო სამი წელიწადი მუდმივად კვარცხლბეკზეა, რაც იაპონელთათვისაც კი ძნელად მისაღწევი და საამაყო შედეგია. თან კონკურენტად ახალგაზრდა **ჰიროფუმი იამამოტო** ჰყავდა და რა გასაკვირია, ნაკრების ხელმძღვანელობამ ფსონი გამოცდილ ფალავანზე თუ დადო.

90-ში რეიტინგში სამი იაპონელი მოხვდა - ნიშიამები და მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორ **ტაკაში ონო**, რომლებიც მხოლოდ ბერძენთა ქართველ მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისს** ჩამორჩებოდნენ და II-IV ადგილებს ინაწილებდნენ. როგორც ზემოთ დავწერეთ, მათგან ყველაზე უტიტულო მასაში იყო, რომელსაც დიდი ჩემპიონატებიდან მხოლოდ აზიის პირველობა მოუგია 2009-ში, თუმცა მწვრთნელთა არჩევანი მაინც მასზე შეჩერდა.

### რატომ მალავდნენ ამ კაცს?

რატომ და რისთვის, რით დაიმსახურა მასაში ნიშიამამ ასეთი ნდობა, ამაზე დაზუსტებით ლაპარაკი ცოტა ძნელია, თუმცა ხმები ნაკრებში მისი დაყენების შესახებ კარგა ხნის წინათ გავრცელდა. მხოლოდ ვარაუდის დონეზე თუ ვიტყვით, რომ ამის მიზეზი, შეიძლება... ილიადისი იყოს. უფრო სწორად, გაბერძნებულ ქართველთან იაპონელების შეხვედრების სტატისტიკა - დაიკი მას სამჯერ დაეჭიდა და სამივეჯერ დამარცხდა, მასაშიმ კი ორი ორთაბრძოლიდან ერთი მოუგო. როგორც გითხარით, დაიკი მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონია და საინტერესოა, რომ ორივე ფინალი ილიადისთან წააგო. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მის კარიერაში მესამე წაგებული ფინალიცაა - აზიის პირველობაზე, სადაც კორეელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **კიუ-ვონ ლეემ** მოუგო. ერთი სიტყვით, სახელოვანი **ტამერლან ტმენოვისა** არ იყოს, დაიკი ნიშიამასაც გადამწყვეტი შეხვედრის სინდრომი აქვს ანუ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. დაახლოებით ასეთი ვითარებაა ონოსთან დაკავშირებითაც - საერთაშორისო შეჯიბრებებში კარგად გამოდის, მაგრამ პირველხარისხოვან ტურნირებში წარუმატებლად ასპარეზობს.

ბევრად უკეთესი სურათია ილიადისისა და მასაში ნიშიამას ურთიერთპაექრობაში - ისინი ერთმანეთს პირველად შარშან შეხვდნენ ბაქოში მასტერსზე და მაშინ აზიელმა წააგო, წლეულს კი რევანში იმავე რანგის შეჯიბრებაზე აუღო ალმატიში.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა - რატომ მაინცდამაინც ილიადისი? ბერძენი რეიტინგის პირველი ნომერია და, ცხადია, იაპონელები მას უმთავრეს კონკურენტად მიიჩნევენ. თუმცა თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ფრიად საინტერესო სურათს ვნახავთ - რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დაიკისგან განსხვავებით, ამ უტიტულო მასაშის წონის ყველა ლიდერთან დადებითი ბალანსი აქვს! თავად განსაჯეთ: უზბეკ აზიის ჩემპიონ **დილშოდ ჩორიევს** ოთხივე შეხვედრა მოუგო, ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ **ტიაგო კამილოსა** და რუსთა მსოფლიოსა და ევროპის ვერცხლის მედალოსან **კირილ დენისოვს** - ორიდან ორივე, კუბელი მსოფლიოს პრიზიორი **ეშლი გონსალესი,** აზერბაიჯანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ელხან მამადოვი** და ბრიტანელი ევროპის მესამე პრიზიორი **ვინსტონ გორდონი** კი თითოჯერ გადაჰყრიან ერთმანეთს გზაზე, მაგრამ - უშედეგოდ, ზემოხსენებულ კორეელ ლეეს კი სამიდან ბოლო ორ შეხვედრაში სძლია.

ხუმრობა იქით იყოს და, თუ ყველას უგებს, აქამდეც რატომ არ აყენებდნენ ნაკრებში!

### ლიპარტელიანი VS ნიშიამები

დაიკი ნიშიამა ლიპარტელიანის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქეა - 2010-2011 წლებში ისინი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხივე ბრძოლა ჩვენებურმა წააგო! მათ ერთმანეთში წლეულს არ უჭიდავიათ, როცა ლიპარტელიანი ბევრად უკეთ გამოდის. ქართველი მასაში ნიშიამას ოფიციალურ შეჯიბრებებში არ შეხვედრია, მაგრამ მაის-ივნისში იაპონიაში შეკრებაზე ყოფნისას ორჯერ დაეჭიდა და პირველი დათმო, მეორე - მოიგო. როგორც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გვითხრეს, ორივე ბრძოლა დაძაბული, საკმაოდ ხისტი და უშელავათო იყო, თუმცა მაშინ ლიპარტელიანს მუხლი ახალი ნამკურნალევი ჰქონდა და პოსტსარეაბილიტაციო პერიოდის გამო ჯერ მაინც ვერ მოძრაობდა გახსნილად, რასაც პოსტტრავმული პერიოდისთვის თანამდევი შიშიც სდევდა - გამიზეზების საფრთხის გამო მაინც უფრთხილდებოდა ფეხს და ცოტა შებოჭილი იყოო. რამდენად მისაღებია მასაშის კანდიდატურა, ამაზე სასაუბროდ ბორჯომში შეკრებაზე მყოფი ლიპარტელიანი არ შევაწუხეთ - მიგვაჩნია, რომ მზადების ასეთ საპასუხისმგებლო ეტაპზე მსგავს თემაზე საუბრით სპორტსმენს სიმშვიდეს დავურღვევდით. სამაგიეროდ, მისი აზრი ისევ ფედერაციის მესვეურთაგან შევიტყვეთ - მასაში უფრო მოძრავია და მასთან ჭიდაობა მიადვილდება, მეტი შანსი მაქვს, დაიკი კი დგას და ჭიდაობის საშუალებას არ გაძლევსო, უთქვამს ევროპის წლევანდელ ჩემპიონს.

ღმერთმაც ჰქნას! ჩვენც მიგვაჩნია, რომ მასაშის წამოწევა ლიპარტელიანისთვის ცოტა უკეთესი უნდა იყოს.

### კორეული არჩევანი

კიდევ ერთი ნაკრები, რომელიც ძლიერი სკოლის გამო მუდამ იქცევს ყურადღებას, სამხრეთ კორეაა. უმეტეს წონებში მათაც რამდენიმე ლიცენზიატი ჰყავდათ, თუმცა იაპონელებივით დიდი კონკურენცია არ აქვთ და საერთოდაც, ყველგან და ყველაფერში უმთავრეს კონკურენტ მეზობლებს გუნდის სიძლიერით ვერ მიედრებიან. მათგან ლონდონში აზიის ჩემპიონი **გვანგ-ჰიეონ ჩოი** (60), მსოფლიოს პრიზიორი **იუნ-ჰო ჩო** (66), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **კი-ჩუნ ვანგი** (73) და ზუსტად იმავე მიღწევების მქონე **ჯაე-ბუმ კიმი** (81), **დაე ნამ სონგი** (90), მსოფლიოს ჩემპიონი (ლონდ - 90-ში) **ჰე-ტაე ჰვანგი** (100) და მსოფლიოს პრიზიორი **სუნგ-მინ კიმი** (+100) იჭიდავებენ. ერთი ძალზე უცნაური და ჩვენთვის საყურადღებო ამბავი აქაცაა და ისევ 90-ში - როგორც ხედავთ, კორეელებმა ზემოხსენებული ლეეს ნაცვლად სონგი დააყენეს! არადა, რეიტინგში ლეე უსწრებდა კონკურენტს და ესაა ერთადერთი შემთხვევა, როცა სპორტული პრინციპი დაარღვიეს ანუ ქულებს ყურადღება არ მიაქციეს.

ლიპარტელიანს ლეესთან ერთხელ უჭიდავია, სონგთან - სამჯერ და ოთხივე შეხვედრაში გამარჯვებულმა დატოვა ტატამი. სონგს მან ბოლოს წლეულს მოუგო დიუსელდორფის „დიდი პრიზის" ფინალში.

### სად გაქრა ტანგრიევი?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ სიებში მძიმე წონაში არ ჩანს ერთ-ერთი ლიდერი, პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი უზბეკეთიდან, აბსოლუტურში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, პირადში კი სამგზის მესამე პრიზიორი, სალიცენზიო რეიტინგის მერვე ნომერი **აბდულო ტანგრიევი!** მიზეზზე ვერც ჩვენს ფედერაციაში გვითხრეს და ვერც ინტერნეტში მოვიძიეთ რამე. იქნებ ეს ტექნიკური შეცდომაა, ანუ უბრალოდ გამორჩათ მისი გვარი, რაც ადვილად გამოსწორებადია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, მიზეზი დოპინგი იყოს - ამბობენ, რომ ის თრიაქის დიდი ტრფიალია.

**ირაკლი თავაძე**

-ს

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჭადრაკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ლომაია

# ბოლო ტურის წინ

**ქუთაისში** ევროპის ჭადრაკის კავშირის პატრონატით გრძელდება 8-12 წლის მოჭადრაკეთა კონტინენტის თასის გათამაშება, რომელშიც 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

**8-წლიან** გოგონათა მე-6 ტურში ერთპიროვნული ლიდერი ნია დონლვანი თეთრი ფიგურებით სომეხ ნადეჟდა ხაჩატრიანთან დამარცხდა, დიანა ლომაიამ კი ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა - ამჯერად შავი ფიგურებით ლილე გუმბერიძეს სძლია. ამდენად, ბოლო ტურის წინ დონლვანი, ლომაია და ხაჩატრიანი 5-5 ქულით პირველი-მესამე ადგილებს ინაწილებენ. დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ხაჩატრიანი - ლომაია, თეკლა ვადაქარია - დონლვანი. გამარჯვებულიც ამ შეხვედრებში გაირკვევა.

ბიჭებში წარმატებასთან ახლოსაა ნიკოლოზ კაჭარავა, რომელმაც ზედიზედ ექვს მეტოქეს სძლია. გუშინ ნიკოლოზ კევლიშვილს აჯობა. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან აჰმედ აჰმედზადე (აზერბაიჯანი) და საბა ლომსაძე.

დღეს განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ აჰმედზადეს და კაჭარავას შეხვედრა იწვევს. კევლიშვილი ლომსაძეს დაუპირისპირდება.

გუშინ **10-წლიანმა** გოგონებმა საგრძნობლად გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა. თამარ ლაგაზაურმა შავი ფიგურებით აზერბაიჯანელ ლიდერ ზეინაბ ჩსმაილზადას სძლია, ხოლო ანასტასია სიდამონიძემ თამარ ესაძეს მოუგო და 5,5 ქულით მეწინავეობს. 5 ქულით მეორე ადგილზე ლაგაზაურმა გადაინაცვლა. დღეს თასის ბედი სწორედ ლაგაზაურ-სიდამონიძის შეხვედრებში გადაწყდება. ამ ასაკის ბიჭებში 5,5 ქულით რუსი არტიომ ტრუბჩანინოვი უდგას გათამაშების ცხრილს სათავეში. გუშინ მან აზერბაიჯანელი აბდულა ქადიმბაილის წინსვლა შეაფერხა. აბდულასთან ერთად 5-5 ქულით ნიკოლოზ პეტრიაშვილი და დავით კამკია (მათ სადიგ მამადოვს და ანტონ ნადირაძეს გააჩერებინეს საათი) მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ.

**12-წლიან** გოგონებში ტურნირის რეიტინგფავორიტი ნინო ჯალალონია ლიდერობს. გუშინ იგი მარიამ წამალაშვილს დაუზავდა და 5 ქულა მოაგროვა. 4,5-4,5 ქულა აქვთ წამალაშვილს, ანი ივანიანსა და მარიამ ავეტისიანს (ორივე - სომხეთი), რომლებმაც გვანცა მარგველაშვილი და ნატა ჯიბუტი დაამარცხეს. ბიჭებში სამხელისუფლებიანობაა - ირაკლი ახვლედიანმა, ტიმურ ტრუბჩანინოვმა (რუსეთი) და აშოტ ფარვანიანმა, რომლებმაც, შესაბამისად, გურამ კოკაიას, ნიკოლოზ ცომაიას და კოკა ბუკიას მოუგეს, პირველ-მესამე ადგილებს ითვალისწინებენ.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ ტრუბჩანინოვი (5) - ახვლედიანი (5), პარვიზ გასიმოვი (აზერბაიჯანი, 4,5) - ფარვანიანი (5), კოკაია (4,5) - ჭელიძე (4,5).

**ვაჟა დანელია**

# ლიდერები ზედმეტად ფრთხილობენ თუ...



გიორგი მარგველაშვილი

**ლიდერთა** ექვსი შეხვედრიდან ხუთი ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა ესპანურ ბენასკეში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირიზე. დაზავდნენ **გიორგი მარგველაშვილი** - ტამირ ნაბათი (ისრაელი), ავაინ ჯონსი (ინგლისი) - მიხაილ მარინი (რუმინეთი), დან ზოლერი (ისრაელი) - ზბინეკ ჰრაჩეკი (ჩეხეთი), ჰარიკრიშნა (ინდოეთი) - ხორხე კორი (პერუ), ვლადიმირ ბურმაკინი (რუსეთი) - დავიდ ანტონი (ესპანეთი).

რუმინელმა იოან-კრისტიან ჩირილამ შავი ფიგურებით მასპინძელი დანიელ ესტებან ფოკენი დაამარცხა.

ხუთი ტურის შემდეგ 36 მოჭადრაკეს, მათ შორის **თორნიკე სანიკიძეს** და **კონსტანტინე შანავას,** 4-4 ქულა ჰქონდა. თერთმეტმა მათგანმა მონაგარს თითო ქულა შესძინა: სანიკიძემ შავებით რუფინ ოხიმენეს კამარენას (ესპანეთი) აჯობა, ხოლო შანავამ გუილერმო გარსია ბაჩეს (ესპანეთი) გააჩერებინა საათი.

ამდენად, ექვსი ტურის შემდეგ 6 მოჭადრაკეს (მათ შორის - მარგველაშვილს) 5,5-5,5 ქულა აქვს, 15 მონაწილე (შანავა და სანიკიძეც) მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. მე-7 ტურში ითამაშებენ: ჩირილა (5,5) - ჯონსი (5,5), ნაბათი (5,5) - ზოლერი (5,5), მარინი (5,5) - მარგველაშვილი (5,5)... სანიკიძე (5) - სერხიო გარზა (ესპანეთი, 5), ანტონი (5) - შანავა (5).

ბარბერა დელ ვალესის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში, სადაც საპრიზო ადგილებისთვის თბილისელი დიდოსტატი **ლევან აროშიძეც** იბრძვის, უკვე გათამაშდა შვიდი ტური. 6 ქულით ერთპიროვნულად მექსიკელი ხოსე გარსია გონსალესი მეწინავეობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს მაქსიმ ტუროვმა (რუსეთი) და ემილიო კორდოვამ (პერუ). 9 მოჭადრაკემ 5-5 ქულა მოაგროვა. აროშიძე 4,5 ქულით მე-13 ადგილზეა. მე-8 ტურში იგი მაურიციო ვასალის გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

# სპორტული ცეკვები

## რუსეთში განხეთქილებამ თანამემამულე დაგვიბრუნა

საქართველოს სპორტული ცეკვების ფედერაცია თითქმის ორი ათეული წელიწადია, საინტერესო ღონისძიებებს მასპინძლობს. გაზაფხულზე თბილისში „კავკასიის თასი" მეჩვიდმეტედ გათამაშდა. ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით ფედერაცია ცდილობს, რეგიონებში ჩატარდეს საინტერესო შეჯიბრებები.


ვიქტორ ბურჭულაძე და კატერინა კოზმა

ამ დღეებში სპორტული ცეკვების აჭარის ასოციაციის ინიციატივითა და ადგილობრივი სპორტისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ბათუმს მეხუთედ ესტუმრნენ სპორტული მოცეკვავეები, ამჯერად რვა ქვეყნიდან. ასეთი დაინტერესება საერთაშორისო რეიტინგისთვის ქულათა მაღალმა მაჩვენებელმაც განაპირობა. ლათინურამერიკულ ცეკვებში საქართველოს, ბულგარეთის, საბერძნეთის, თურქეთის, უკრაინის, ბელარუსის, ესტონეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 37 წყვილი იბრძოდა პირველობისთვის. პირველი ადგილი მასპინძლებმა - **ვიქტორ ბურჭულაძემ** და **კატერინა კოზმამ** დაიკავეს, რომლებმაც რეიტინგი ერთბაშად 240 ქულით გაიმდიდრეს.

ვიქტორი 18 წლისაა. წარმოშობით ბათუმიდანაა. კარგა ხნის წინათ მისი მშობლები რუსეთში გადავიდნენ სამუშაოდ და საცხოვრებლად. ვიქტორმაც მოსკოვში დაიწყო ვარჯიში სპორტულ ცეკვებში. ოთხი წლის წინათ მან ახალგაზრდებში მსოფლიო პირველობა მოიგო ათ ცეკვაში, მერე ევროპის პირველობაზეც ყველას აჯობა. წლეულს რუსეთის სპორტული ცეკვების ფედერაციაში მომხდარი განხეთქილებისას ვიქტორი თბილისში გადმოიბირეს. მეწყვილედ უკრაინელი კატერინა კოზმა შეურჩიეს. ჩვენ, ფედერაციაში მიიჩნევენ, რომ პერსპექტიული დუეტია და მალე გვასახელებენ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში. აგვისტოში ისინი გერმანიის დიდ პრიზზე გამოვლენ, სექტემბერში კი პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს, რაც გამოცდილების შესაძენად კარგი საშუალება იქნება.

ბათუმში მეორე ადგილზე **გენადი ცინკევიჩი** და **მზია ორველაშვილი** გავიდნენ. ეს წყვილიც წლების განმავლობაში საქართველოს სახელით გამოდიოდა. სათანადო ხელშეწყობა რომ არ ჰქონდათ, მინსკში გადავიდნენ საცხოვრებლად და ახლა ბელარუსის სპორტულ ღირსებას იცავენ. მესამე ადგილი უკრაინელებს - **ანდრეი ფედორენკოს** და **იანა მინაევას** ერგოთ. ახალგაზრდებს შორის ევროპულ ცეკვებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ირაკლი ძაძამია, თამარ ტურაშვილი** (თბილისი), 2. **თეიმურ გადიროვი, ჯამილა ჩერნოვა** (ბაქო), 3. **ამირან ბახტაძე, ქრისტინე მალაყმაძე** (ბათუმი).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**ვაჟა დანელია**

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშები, 2004 წ. ათენი, 13-29 აგვისტო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" N 162

ათენში დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში ირიცხებოდა 33 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 2 ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი. დღეს წარმოგიდგენთ საქართველოდან ათენის ოლიმპიადის კიდევ 17 მონაწილეს. მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში პირველად ამ თამაშებში გამოდიოდა ქვეყნების სარეკორდო რაოდენობა - 201; სარეკორდო იყო ოლიმპიელთა რიცხვიც - 11 099. თამაშების პროგრამით სპორტის 28 სახეობაში გათამაშდა ოლიმპიური მედლების 301 კომპლექტი. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური


არსენ კასაბიევი (ძალოსნობა) - XIV


მირიან გიორგაძე (ბ/რ ჭიდაობა - XV


ნიკოლოზ იზორია (კრივი) - მერვედფინ.


მუხრან ვახტანგაძე (ბ/რ ჭიდობა) - XVIII


ოთარ თუშიშვილი (თ. ჭიდაობა) - XXI


ილია გიორგაძე (სპ. ტანვარჯიში) - XXII


კონსტანტინე კუპატაძე (კრივი) - II წრე


გრიგოლ მამრიკიშვილი (ძიუდო) - I წრე


ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო) - I წრე


ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოს.) - 1/32


ქრისტინე ესებუა (მშვილდოს.) - 1/32



მარიამ ქევხიშვილი (მძლეოსნ.) - კვალიფიკ.


დავით ილარიანი (მძლეოსნ.) - კვალიფიკ.


იულია დუბინა (მძლეოსნ.) - კვალიფიკ.


ზურაბ ხომასურიძე (ცურვა) - კვალიფიკ.


მანუჩარ კვირკველია (ბ/რ ჭიდაობა) - დისკვ.


ირაკლი ლაბაძე (ჩოგბურთი) - ტრავმა

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/

ლიცენზიატი

# მაიკო გოგოლაძის იღბლიანი წელიწადი



მაიკო გოგოლაძე

ქართველ მძლეოსნებს წლეულს უხვი მოსავალი აქვთ - სხვადასხვა დისციპლინაში ქვეყნის რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესეს, ოთხმა ათლეტმა კი ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა. მსგავსი რამ ნახევარი საუკუნეა, სამამულო სპორტის ისტორიას არ ახსოვს, მხოლოდ 1952 და 1960 წლებში ჰელსინკისა და რომის თამაშებზე გამოდიოდა საბჭოთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის 4-4 მძლეოსანი. წარმატებითაც. წლეულს ბრიტანეთის დედაქალაქში წამსვლელ 36 ლიცენზიატს შორის ერთ-ერთი 20 წლის სიგრძეზე მხტომელი **მაიკო გოგოლაძე** გახლავთ.

„სპორტის დედოფლის" სამყაროს ცხრა წლის წინათ გაუშინაურდა. ხან რაში სცადა ბედი, ხან - რაში, 15 წლისა უფრო თარჯრბენამ და სიგრძეზე ხტომამ გაიტაცა. დღემდეც შემორჩა. ჯერ **გოგი გოზალიშვილი** ამეცადინებდა, ორი წელიწადია, **ელდარ ლომთაძე** ავარჯიშებს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი საერთაშორისო სარბიელზე ვერა და ვერ აღწევდა წარმატებას.

2012 წელი კი გოგოლაძისთვის იღბლიანი აღმოჩნდა: ნაახალწლევს საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად მოგილიოვს გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე. იქვე ბელარუსის ღია ჩემპიონატშიც იასპარეზა და სახელოვან სპორტსმენებთან პაექრობაში მე-3 ადგილი დაიკავა, მერე თბილისში 5,76 მეტრით საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მოიგო. ერთი თვის შემდეგ ბაქოში შეკრებაზე ყოფნისას იქაურ ტურნირზე 6-მეტრიანი ზღვარი გადალახა.

ქართველი მძლეოსნისთვის დაუვიწყარი იქნება წლევანდელი 2 მაისი: სოფიაში, ბულგარეთის ღია ჩემპიონატში, რომელიც სალიცენზიო ტურნირიც იყო, მაიკო 6,67 მეტრზე გადახტა და 58 წლის წინათ თბილისის „დინამოს" სტადიონზე საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონისა და ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილის მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდი (6,25 მეტრი 1954 წელს მსოფლიო მიღწევის გამეორებაც იყო) 42 სანტიმეტრით გააუმჯობესა, თან ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივიც (6,65) შეასრულა. ზაფხულის დამდეგს სომხეთისა (6,57) და აზერბაიჯანის (6,65) ღია ჩემპიონატებშიც მოსინჯა ძალები. ამჟამად დანარჩენ სამ ჩვენებურ ოლიმპიელ მძლეოსანთან ერთად მაიკო გოგოლაძე ლატვიაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, 25 ივლისს კი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში გეზს ლონდონისკენ აიღებს.

**ვაჟა დანელია**

კრივი. გიორგი კანდელაკის ტურნირი

# საჩუქრები რინგს მიღმა

**შიდა** ქართლის პატარა და ლამაზი სოფელი ვარიანი, საქართველოში კრივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად რომ იქცა, ყველამ კარგად იცის. ამ დღეებში ვარიანის კრივის დარბაზში გიორგი კანდელაკის სახელობის მეოთხე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ჩვენი ქვეყნის 20 ქალაქის, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობით. რინგზე 141 მონაწილე გამოვიდა. პირველობისთვის 1998-1999 და 2000-2001 წლებში დაბადებული სპორტსმენები იბრძოდნენ. ხუთ წონით კატეგორიაში, სადაც მონაწილეთა რაოდენობა 16-ზე მეტი აღმოჩნდა, სპორტსმენები ორ ჯგუფად დაყვეს და შესაბამისად, გამარჯვებულიც ორ-ორი გამოვლინდა.

**1998-1999 წლებში** დაბადებულთაგან პირველ ადგილზე გავიდნენ: დავით ნაცვლიშვილი (28კგ; ვარიანი), გრიგოლ ელიზბარიანი (30; ახალქალაქი), დავით კაპანაძე (32), შაქრო კაპანაძე (34; ორივე - ჭიათურა), გიორგი ბერელაშვილი (34-II ჯგუფი; გორი), ალექსი ხასაია (36; ზუგდიდი), გიორგი წაწალაშვილი (38; თელავი), ზურაბ მენაბდიშვილი (40), გიორგი უმეკაშვილი (42), ალეკო შატაკიშვილი (44), ილია მწარიაშვილი (46), თამაზ ანიაშვილი (48; ხუთივე - გორი), მამუკა ბორცვაძე (სამაჩაბლო).



**2000-2001 წლებში** დაბადებულთა შორის გამარჯვებულები არიან: გიორგი მაჩიტაძე (32; ზესტაფონი), აჩიკო ოდიკაძე (32-II ჯგუფი), გიგა ბერკაცაშვილი (36; ორივე - ვარიანი), მალიკ ჰასანოვი (38), რასიმ პაშაევი (40; ორივე - აზერბაიჯანი), არმან ოგანესიანი (41,5; სომხეთი), გიორგი ჩარგაზია (41,5 - II ჯგუფი), გიორგი მანჯავიძე (43; ორივე - ფოთი), ონისე სოსელია (44,5; ქუთაისი), თარაშ კანდელაკი (46; ვარიანი), გიორგი მაისურაძე (46 - II ჯგუფი; სამაჩაბლო), ვარდგეს ასლიკიანი (48; სომხეთი), გიორგი გვენეტაძე (48 - II ჯგუფი; ქუთაისი), ბაჯო ხუციშვილი (50), ნიკა ჭელიძე (52; ორივე - ფოთი), აკაკი კაკრიაშვილი (59; გარდაბანი), გიორგი სერობიანი (65; მარნეული), გიორგი ზურაბიანი (+ 76; გარდაბანი).

ყველაზე ტექნიკური მოკრივეების პრიზები მიიღეს აზერბაიჯანელმა **ელიჩან ისრაპილმა** და **თარაშ კანდელაკმა.** შეჯიბრება გორის კრივის სკოლის, ვარიანის კლუბ „ჩემპიონის" და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ იყო ორგანიზებული.

*„ჩვენი საამაყო სპორტსმენის გიორგი კანდელაკის სახელობის ტურნირმა გაამართლა და ტრადიციული გახდა. წლეულს გუნდებიც მრავლად იყვნენ და ორთაბრძოლებიც საინტერესოდ მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნებიდან ძლიერი მოკრივეებით დაკომპლექტებული გუნდები გვესტუმრნენ. აზერბაიჯანელი და სომეხი კოლეგები ვარიანში არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს ჩვენ მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებზე და კონფლიქტის გამო დაპირისპირებული ქვეყნის შვილები ამჯერად ერთმანეთისთვის გადასაცემად სპეციალური საჩუქრებითაც კი ჩამოვიდნენ. აი, რა შეუძლია სპორტს. ეს შეჯიბრება უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის პირველი სერიოზული ტურნირი იყო. გუნდური პირველობა გორელებმა მოიგეს. ჩვეულებისამებრ კარგად იასპარეზეს ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ახალქალაქის კრივის სკოლების აღსაზრდელებმა. ამაღლდა გარდაბანისა და თელავის გუნდების დონე"* - გვითხრა ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ავთანდილ შოშიაშვილმა.**

**ვასილ ბალახაძე**

ვარიანიდან

სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

# ნულოვანი ბალანსებით

**ნაგოიას** ბაშოს სტარტიდან 4 დღე გავიდა და სამივე ქართველ სუმოისტს (ორს ელიტაში და ერთს ძურიოს დივიზიონში) 2-2 ბალანსი აქვს. თუკი მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** კარგად დაიწყო და შემდეგ ზედიზედ ორი ორთაბრძოლა დათმო, მე-7 მაეგაშირა **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** პირიქით დაემართა, მან ცუდად დაიწყო და ბოლო ორ შეხვედრაში იმარჯვა. ასეა თუ ისე, ორივე ჩვენებურისთვის ყველაფერი თავიდან იწყება, ბალანსი ორივეს ნულოვანი აქვს. დღეს ტოჩინოშინი **შოტენროს** დაუპირისპირდება, გაგამარუ კი მონღოლ **ტოკიტენკუს. კოკაი (ლევან ცაგურია)** მეორე დივიზიონის შუაშია რეიტინგითაც და დღევანდელი შედეგების მიხედვითაც. თუ ასე გააგრძელა, „შავი ზღვა" არც აღზევდება და არც ძურიოდან გავარდება სამოყვარულო ლიგაში.

ნაგოიას ბაშოს 6 დაუმარცხებელი ფალავანი ჰყავს, თუმცა ფავორიტი ამათში სამია: დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ორი ჩემპიონი, ესტონელი **ბარუტო** და მონღოლი **ჰარუმაფუჯი.**



**IV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-აოიამა (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (უვატენაგე), კოტოოშუ-შოჰოზანი (იორიკირი), ტოიონოშიმა-კაკურიუ (ოშიდაში), ამინიშიკი-კისენოსატო (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ოკინოუმი (იორიკირი), ბარუტო-გოეიდო (ცუკიდაში), მიოგირიუ-ტოჩიოძანი (ცუკიოტოში), ვაკაკოიუ-შოტენრო (ჰატაკიკომი), **გაგამარუ**-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-**ტოჩინოშინი** (აბისეტაოში) **ძურიო:** ჩიონოკუნი-**კოკაი** (ჰიკიოტოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**4-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), დაიდო (მაეგაშირა 13), მასუნოიამა (მ 13), ჩიოტაირიუ (მ 15)... **2-2: ტოჩინოშინი** (მ 4), **გაგამარუ** (მ 7).

**V დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-მიოგირიუ, კოტოოშუ-აოიამა, კაკურიუ-ვაკაკოიუ, კისენოსატო-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-კიოკუტენჰო, ბარუტო-ამინიშიკი, ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი, ტოჩიოძანი-გოეიდო, **ტოჩინოშინი**-შოტენრო, **გაგამარუ**-ტოკიტენკუ. **ძურიო: კოკაი**-კიტაჰარიმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველი NBA-ში

# შენგელიას 17-ქულიანი განაცხადი NBA-ში დარჩენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თორნიკე შენგელია ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე თამაშს დღითი დღე აუმჯობესებს. მას პირველ მატჩში 2 ქულა ჰქონდა, მეორეში - 8, მესამეში პირველივე პერიოდში გადააჭარბა წინა დღის მაჩვენებელს - 9 ქულა ჩააგდო. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით, ოღონდ ზემოდან ქვემოთ.**

## ფილადელფიასთან

მესამე შეხვედრაში მწვრთნელმა „თოკო" სასტარტო ხუთეულში დააყენა და არც შემცდარა - საწყის წუთებზე 10-ქულიანი უპირატესობის მოპოვება უმთავრესად ქართველის დამსახურება იყო. მას ბურთი არ აუცილებია - 2 ორქულიანი, 1 სამიანი და 4 საჯარიმო ჩააგდო და 16:6. როგორც მოგახსენეთ, შენგელიამ პირველი მეოთხედი 9 ქულით დაასრულა. მეორე პერიოდში მხოლოდ ბოლო ერთი წუთი ითამაშა, მესამეში კი საკმარისი დრო ერგო და მონაგარი 6 ქულით გაიმდიდრა - ორი ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო.

მწვრთნელმა თორნიკეს შრომა დაუფასა და მეოთხე პერიოდშიც შეიყვანა. საბოლოოდ „ფილადელფიამ" სამქულიანებით ძალიან გააწვალა „ბრუკლინი" და გაიმარჯვა კიდეც - 79:71.

თორნიკე შენგელიას ყველაზე მეტი სათამაშო დრო მესამე შეხვედრაში ერგო და თავისუფლადაც ითამაშა. მისი მონაგარი ასეთი იყო: 27 წუთი, 17 ქულა (9-დან 5 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი, 6-დან 6 საჯარიმო), 6 მოხსნა, 2 პასი, 4 ფოლი, 4 შეცდომა.

„ბრუკლინის" მაისურით 11 წუთი ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა გამთამაშებელმა **ტორინ გრინმა** (თითო მოხსნა-პასი, ჩაჭრა). „ფილადელფიას" მწვრთნელმა კი „არმიას" უკანახაზელი **ჯერემი რიჩარდსონი** მოედანზე არ შეიყვანა.

## ორლანდოსთან

*„შენგელიამ უნდა გვასწავლოს სიტყვა Hustle-ს ქართული მნიშვნელობა",* - წერია „ბრუკლინ ნეთსის" ოფიციალურ საიტზე. ვიდრე ამერიკულ პუბლიკაციას განვაგრძობდეთ, ინგლისურად დაწერილი სიტყვის თარგმნას შევეცდებით. ზუსტი ქართული შესატყვისი არ აქვს, თუმცა ლექსიკონში ორი სიტყვითაა განმარტებული - ენერგიულად, სწრაფად მოქმედება.

*„20 წლის ქართველი დრაფტზე 54-ე ნომრად აირჩიეს და მისი ევროპაში გაგზავნა იგეგმებოდა, თუმცა საზაფხულო ლიგაზე ერთ-ერთ საინტერესო კალათბურთელად იქცა. იგი კონტრაქტს არ ერიდება, ბოლომდე იბრძვის და ამის შედეგიცაა პირველ მატჩში მიღებული ხუთი პერსონალური შენიშვნა. შენგელიამ საწყის ორ შეხვედრაში პასის ალღო გამოავლინა, კარგად შეუძლია თავისუფალი პარტნიორის პოვნა. „ბოსტონ სელტიქსთან" მატჩში კი მის ანგარიშზე სამი ეფექტური ჩატენვა იყო,"* - ვკითხულობთ კლუბის ოფიციალურ ვებ-საიტზე.

ამავე სტატიას ერთვის გამოკითხვის ბლანკი, რომლის მიზანია „ბოსტონთან" მატჩში ყველაზე საინტერესო ბრუკლინელის დასახელება. ამ გამოკითხვაში ხმების 75 პროცენტით თორნიკე პირველია, მას მოსდევს **ტაიშონ ტეილორი** - 13 პროცენტი...

საზაფხულო ლიგის მეორე შეხვედრაში „სელტიქსთან" თორნიკე შენგელიამ უფრო თამამად შეუტია, თუმცა ვერც ამ შეხვედრაში გამოავლინა შესაძლებლობები სრულად. მის ანგარიშზე 8 ქულა და 4 მოხსნა იყო. 207 სმ სიმაღლის ახალგაზრდამ 6 ორქულიანიდან 4 გამოიყენა. აქედან სამჯერ ჩატენა. სამივე ერთმანეთზე უკეთესი იყო, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად მისი ზემოდან გდებები მატჩის საუკეთესო მომენტთა კრებულში არ შევიდა. თორნიკეს 10 ქულამდე ასვლაც იოლად შეეძლო, მაგრამ ერთ ეპიზოდში საჯარიმოს გარედან ფარქვეშ შესულმა ბურთი იმის ნაცვლად, რომ კალათში ჩაეტენა, თანაგუნდელს გადააწოდა, რასაც მისი კოლეგა არ ელოდა და ვიდრე სატყორცნად შეიმართა, მეტოქე წამოეწია.

მთავარი არ გვითქვამს, შენგელიას ასეთი სტატისტიკის ჩასაწერად 14 წუთიც ეყო. მეოთხე პერიოდის ბოლოს, როდესაც იგი მოედნიდან გავიდა, „ბრუკლინი" წინ იყო, თუმცა ბოლოს „ბოსტონ სელტიქსმა" თამაში შემოაბრუნა და 82:73 გაიმარჯვა.

შეხვედრის მსვლელობისას იყო ეპიზოდი, როცა თორნიკემ ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და კომენტატორის კომპლიმენტიც დაიმსახურა:



*- თოკოს არაფერისა ეშინია, რაც გასაკვირი არ არის, ის ხომ ქართველია. გავიხსენოთ ზაზა ფაჩულია, რომელიც ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე უშიშარ მებრძოლადაა ცნობილი. მან სახელი განსაკუთრებით მას შემდეგ გაითქვა, რაც 2008 წელს პლეი ოფში კევინ გარნეტს გაწევ-გამოწევისას არაფერი დაუთმო.*

## ჯონსონი

„ბრუკლინი"-"ფილადელფიას" მატჩის შესვენებაზე NBA-TV-ის კომენტატორთა მაგიდას „ნეთსის" მთავარმა მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** მიაშურა. მან ძირითადად შემადგენლობაზე ილაპარაკა. ჟურნალისტებმა ჰკითხეს - არაერთი ექსტრა კლასის მსროლელი გყავთ, რას უპირებთო?

*- დღეს მოთამაშეთა პოზიციების მიხედვით დახარისხება არ შეიძლება, გამთამაშებელი მსროლელად თამაშობს, მსროლელი - მსუბუქ ფორვარდად და ა.შ.*

კომენტატორები ასევე დაინტერესდნენ, ვარსკვლავების შემდეგ კიდევ ვის დამატებას აპირებს „ბრუკლინის" ხელმძღვანელობა. მწვრთნელმა მოკლედ უპასუხა:

*- ბრუკსი, ტეილორი, შენგელია... კემპზე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არაერთი კარგი კალათბურთელია.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრანსფერი

# ვიქტორი პლუს ერთი

## ხელი მოწერილია, სანიკიძე სიენელია

ორშაბათის ნომერში შემოგთავაზეთ სტატია, რომელსაც **ვიქტორ სანიკიძის** კომენტარი დავურთეთ - სიენას „მონტეპასკისთან“ კონტრაქტს დღედღეზე გავაფორმებო. ჰოდა, ხელმოწერის დღეც დადგა. ვიქტორმა იტალიურ გრანდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*- ხელშეკრულება 2+1 სისტემისაა, -* გვითხრა ვიქტორმა გუშინ, *- ასე რომ, მინიმუმ მომდევნო ორ წელიწადს სიენაში გავატარებ. სამედიცინო შემოწმებისთვის ახლა მინდოდა ჩასვლა, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან მედპერსონალი ამჟამად შვებულებაშია. ამიტომ ნაკრების ავსტრიული შეკრებიდან მომიწევს იტალიაში გადასვლა, სამედიცინო შემოწმებას გავივლი და ავსტრიაში მალევე დავბრუნდები. ახალი სეზონისთვის მზადებას „მონტეპასკისთან“ ერთად სექტემბერში, სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ შევუდგები. როგორც ყველგან ხდება, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შემდეგ ორ-სამ დღეს მომცემენ დასასვენებლად...*

სანიკიძე მესამე ქართველია, რომელსაც „მონტეპასკის“ მაისურა მოურგია: 2005-07 წლებში სიენაში **ვლადიმერ ბოისა** თამაშობდა, ხოლო ახალგაზრდა **ნიკა მეტრეველს** ამ კლუბთან ახლაც აკავშირებს კონტრაქტი, თუმცა განათხოვრების წესით შარშან „დინამო სასარიში“ იასპარეზა.

რაც შეეხება სანიკიძეს, მას „მონტეპასკის“ გარდა სანქტ პეტერბურგის „სპარტაკი“, ესპანეთის „ვალენსია“ და ყაზანის „უნიქსი“ ეპატიჟებოდნენ. საბოლოოდ სად გადაწყვიტა თამაში, თავადაც მოგეხსენებათ.

ისიც უნდა ითქვას, რომ „მონტეპასკიში“ წლეულს სერიოზული რეფორმები ხორციელდება. შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ფორვარდი **დევიდ მოსი** დარჩა (რომელიც ორი წლის წინათ „ვირტუსში“ ვიქტორთან ერთად თამაშობდა). სანიკიძესთან ერთად „მონტეპასკიში“ გადავიდა პესაროელი **დანიელ ჰაკეტი**. დანარჩენი ახალწვეულების ვინაობას ახლო მომავალში შევიტყობთ. ასევე შეიცვალა მთავარი მწვრთნელი - **სიმონე პიანიჯანი** მისმა ასისტენტმა **ლუკა ბანკიმ** ჩაანაცვლა. სხვათა შორის, 2006-07 წლების სეზონის შემდეგ ამ გუნდში მთავარი მწვრთნელი **კარლო რეკალკატი** მისმა თანაშემწე სიმონე პიანიჯანიმ შეცვალა და გუნდის თავკაცად 6 წელი იმუშავა.





სანიკიძის სიენურ გრანდში გადასვლა იმიტომაცაა სასიამოვნო, რომ „მონტეპასკი“ ევროლიგაზე ყოველთვის მაღალ მიზნებს ისახავს (26 წლის, 203 სმ. სიმაღლის ქართველ ფორვარდს ევროლიგაზე ჯერ არ უთამაშია). არც წლეულს უნდა ჰყავდეს მოკრძალებული გუნდი და იმედი დავიტოვოთ, რომ ევროლიგაზე თავის გასოჩენა სანიკიძეს მომავლისთვის აუცილებლად წაადგება. ჯგუფურ ეტაპზე „მონტეპასკის“ მეტოქეები იქნებიან **გიორგი შერმადინის** „მაქაბი“, გერმანიის „ალბა“, ესპანეთის „უნიკახა“, პოლონეთის „პროკომი“ და საფრანგეთის „შალონი“. მომდევნო ეტაპზე საუკეთესო ხუთეული გადის.

ევროლიგისთვის მზადებას „მონტეპასკი“ იდეალურ პირობებში გაივლის - ოქტომბრის დასაწყისში იტალიის ჩემპიონები ამერიკაში არიან მიწვეულნი, 6-ში „სან ანტონიო სპურსს“ დაუპირისპირდებიან, 8-ში - „კლივლენდ კავალიერსს“. ეს ვიქტორისთვისაც სერიოზული გამოცდა იქნება... გემახსოვრებათ, რომ 2004 წლის დრაფტზე იგი სწორედ „სან ანტონიომ“ აიყვანა.

ვიქტორ სანიკიძის სიტყვებით დავამთავროთ:

*- იტალიაში ყველა ყველას იცნობს. მატჩების დაწყებამდე ყოველთვის თბილად მესალმებოდა „მონტეპასკის“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი ლუკა ბანკი, რომელიც აქამდე ასისტენტად მუშაობდა. კონტრაქტი სიენელებთან გაფორმებული არ მქონდა (თუმცა ყველაფერი შეთანხმებული იყო), როცა ბანკიმ დამირეკა და ვრცლად მელაპარაკა. ვისაუბრეთ გუნდზე, სამომავლო პერსპექტივებზე. მწვრთნელს ისიც აინტერესებდა, რატომ გადავწყვიტე მაინცდამაინც „მონტეპასკიში“ გადასვლა. იმავე დღეს ჩემს აგენტს ველაპარაკე, რომელმაც მითხრა, მწვრთნელი კმაყოფილი დარჩაო. ახალ დამრიგებელთან საუბარი ჩემთვისაც საინტერესო იყო.*

● საქართველოს ნაკრები. გიორგი ცინცაძე

# ისე, როგორც ურალ გრეიტთან



**გიორგი ცინცაძე**

**დაიბადა:** 07.02.1986
**სიმაღლე:** 192 სმ
**ამპლუა:** გამთამაშებელი
უგუნდოდ

**საკლუბო კარიერა**

| | |
|---|---|
| 2001-02 | „აკადემია“ (თბილისი) |
| 2003 | „ბასკო“ (ბათუმი) |
| 2003-04 | ცსკა (რუსეთი) |
| 2004 | რუსეთის „სამარა“ (რუსეთი) |
| 2005 | რუსეთის „ურალ გრეიტი“ (რუსეთი) |
| 2005-06 | რუსეთის „დინამო“ (რუსეთი) |
| 2006-09 | „ტარტუ როკი“ (ესტონეთი) |
| 2009 | „ტრიკალა“ (საბერძნეთი) |
| 2009-10 | „დონეცკი“ (უკრაინა) |
| 2010 | „აგრარული“ (თბილისი) |
| 2010 | „სოპოტი“ (პოლონეთი) |
| 2010-11 | „ტარტუ როკი“ (ესტონეთი) |
| 2012 | „ოლიმპი“ (თბილისი) |

**მიღწევები**

2004 - ახალგაზრდული ევროლიგის ჩემპიონი
2004 - რუსეთის ჩემპიონი.
2006 - ულების თასის მფლობელი
2007, 08 - ესტონეთის ჩემპიონი
2008 - ბალტიის ლიგის „ვარსკვლავთა მატჩის“ მონაწილე
2009 - ესტონეთის პირველობის საუკეთესო კალათბურთელი
2010 - საქართველოს თასის მფლობელი
2011 - ესტონეთის თასის მფლობელი
2011 - ბალტიის თასის გამარჯვებული

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე, მაკედონიასთან მატჩისას საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** მუხლის მყესი სერიოზულად დაიზიანა და ოპერაცია დასჭირდა. სექტემბრის შემდეგ იგი რეაბილიტაციას ჯერ ლიტვაში გადიოდა, შემდეგ - საქართველოში. როცა ექიმებმა თამაშის უფლება მისცეს, გიორგი თბილისის „ოლიმპს“ დაემატა და 8 სექტემბრის შემდეგ პირველი მატჩი 31 მარტს „დინამოს“ წინააღმდეგ ჩაატარა.

იგი მალევე შევიდა ფორმაში და ოლიმპელებს ფინალში გასვლაში დიდად დაეხმარა. სეზონის საუკეთესო მატჩი კი 20 მაისს ჩაატარა, როცა ფინალური სერიის მეორე შეხვედრაში სირენამდე რამდენიმე წამით ადრე არმიელი **ბენ ვუდსაიდი** ჩამოიშორა, საშუალო დისტანციიდან სტყორცნა და „ოლიმპს“ 69:67 მოაგებინა. სწორედ მაშინ გაგვახსენდა, რომ ესტონურ „ტარტუ როკში“ „ბუს“ (ცინცაძის მეტსახელი) არაერთი მატჩის შედეგი გადაუწყვეტია. მაგალითად, 2008 წელს ევროჩელენჯის მეოთხედფინალში „ტარტუ როკი“ მესამე პერიოდის შემდეგ რუსულ „ურალ გრეიტთან“ 58:64-ს აგებდა. ბოლო 10 წუთში ცინცაძემ 15 ქულა ჩააგდო და როკერებმა 89:77 გაიმარჯვეს. იმ მატჩში ქართველმა გამთამაშებელმა 25 ქულა მოაგროვა.

დავუბრუნდეთ საქართველოს ჩემპიონატის ფინალს, რომლის მეოთხე მატჩში გიორგიმ ტრავმა მიიღო და მხოლოდ 7 წუთი ითამაშა...

*- „არმიასთან“ შეხვედრისას კუნთი გამეჭიმა და მატჩი ველარ განვაგრძე. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ტრავმა სერიოზული არ იყო და ვარჯიში მცირე დასვენების შემდეგ განვაახლე. ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ და სრული დატვირთვით ვემზადები,* - გვითხრა გიორგი ცინცაძემ.

მას „ოლიმპთან“ კონტრაქტი 2011-12 წლების სეზონის დასრულებისთანავე ამოეწურა. დავინტერესდით, ხომ არ გადაუწყვეტია, სად აპირებს კარიერის გაგრძელებას.

*- ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა ჯერ არ ვიცი. ველოდები. სადღეისოდ არ მაქვს წინადადებები არც უცხოეთიდან და არც საქართველოდან.*

ცინცაძე საქართველოს ნაკრებს შეკრების პირველივე დღეს შეუერთდა (2 ივლისს) და აქტიურად ემზადება. მას ნაკრებში არგამოძახებულ სამ კალათბურთელზეც (**ლაშა გამყრელიძე, ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა**) ვკითხეთ, მაგრამ კომენტარისგან თავი შეიკავა. გამყრელიძის არყოფნაში შესაძლოა, ცინცაძის სათამაშო დრო გაიზარდოს კიდეც, თუმცა...

*- არა მგონია, შარშანდელთან შედარებით დრო მომემატოს. ახალწვეული კორი ფიშერი სასტარტო გამთამაშებლად მოიაზრება, მე - სათადარიგოდ. ამიტომ დღეს ცოტა რთულია დროზე ლაპარაკი.*

როგორც გითხარით, გიორგი ცინცაძე ესტონურ „ტარტუ როკში“ თამაშობდა, რომელთან ერთადაც ბალტიის ლიგაზე უწევდა გამოსვლა. ამიტომ, კარგად იცნობს საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქე ლატვიას.

*- ყველა მოწინააღმდეგესთან რთული ბრძოლა გველის, თითოეულს აქვს თავისი პლუსები, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველაზე ძლიერი მეტოქე ლატვია იქნება. მათ რიგებში არაერთი მაღალი დონის კალათბურთელია, როგორც მეფარეები, ასევე - უკანახაზელები და ფორვარდები. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყრიან თავს.*

დაბოლოს, ცინცაძის სანაკრებო სტატისტიკასაც გაგაცნობთ. მას ეროვნულ გუნდში 38 მატჩი აქვს ჩატარებული - 237 ქულა (საშუალოდ 6.2), 115 პასი (3.1), 99 მოხსნა (2.6) და 40 ჩაჭრა (1.1).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# london 2012



ამერიკელი ოლიმპიელების ფორმა გახსნის ცერემონიაზე

# ამერიკა დიდი მოსავლისთვის ემზადება

**ოთხი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრებმა ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა, მაგრამ უმეტესი ნაწილი მეორე და მესამე ხარისხისა იყო, ოქროების მხრივ კი ჩინეთმა აჯობა ყველას. ახლა, ამერიკელები რევანშს აპირებენ...**

ოქროს მედლების მხრივ მასპინძლებთან სასტიკი მარცხი (51 36-ის წინააღდეგ), რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ მოსალოდნელი. ამერიკელებმა ათენშიც მოუგეს ჩინეთს მედლების საერთო რაოდენობით, მაგრამ ოქროთი სულ მცირედით აღმოჩნდნენ წინ. პეკინში კი მასპინძლები ყველაფერს იგებდნენ და ამერიკა მზად იყო ამისთვის.

სამაგიეროდ, ახლა, ამერიკელ სპორტსმენებს ყველა საფუძველი აქვთ იმისთვის, რომ ქვეყნების არაოფიციალურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიბრუნონ. 2008 წლის თამაშები ჩინეთისთვის მნვერვალი იყო, სანუკვარი მიზანი, რისთვისაც მთელი ქვეყანა ძალიან მონდომებით მუშაობდა. ამის შემდეგ, ჩავარდნა გარდაუვალია, რასაც ჩინელებიც აღიარებენ. იმავეს ვკითხულობით ამერიკულ პრესაში. მაგალითად, USA Today ჩინეთს პირველ ადგილს აძლევს მედლების საერთო რაოდენობით – 95 (აშშ – 88, რუსეთი – 81), მაგრამ თავისიანებს 41 ოქროს უწინასწარმეტყველებს, ჩინეთს მხოლოდ 24-ს, რაც ამ უკანასკნელისთვის ყველაზე უარესი შედეგი იქნება 1996 წლის შემდეგ.

## მორბენლები

ოქროს მარაგის შევსება სარბენ ბილიკზე - ჩვეულებრივი ამბავია ამერიკისთვის, ოღონდ შეჯიბრება მოკლე და საშუალო დისტანციაზე უნდა იყოს. ბოლოს ოლიმპიური მედალი ამერიკელმა 800 მეტრზე გრძელ დისტანციაზე 1968 წელს (!) მოიგო. მაგრამ ბოლო დროს მამაკაც მორბენლებს არც ისე კარგად აქვთ საქმე – იამაიკელი სპრინტერების გადამკიდე. კუნძულელები ამჯერადაც ჰეთ-თრიკის შესრულებას აპირებენ სპრინტში და მათ შემოტევას უნდა დაუპირისპირდნენ **ტაისონ გაი** და **ჯასტინ გეტლინი**.

ათენის ჩემპიონმა გეტლინმა, რომელმაც ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, ამას წინათ ეროვნული ჩემპიონატი 9.80 წამით მოიგო, რაც მისი კარიერის რეკორდია. გარდა ამისა, გეტლინი ოფიციალურად გახდა ყველაზე სწრაფი მორბენალი ისტორიაში იმათგან, ვინც 30 წელს არის გადაცილებული. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სეზონში მან თვით **იოჰან ბლეიკს** მოუგო.

რაც შეეხება გაის, ისტორიაში მეორე ყველაზე სწრაფი ადამიანი (9.69 წამი მან **ბოლტის** ეპოქის დადგომის შემდეგ აჩვენა) ტრავმებმა და უილბლობამ დააზარალა. მან ამერიკის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა შედეგით – 9.89 წამი. ლაზარეთში გატარებული ერთი წლის ფონზე, სავსებით მისაღები შედეგია. შესაძლოა, "ბებერი" გეტლინი და მუდმივად ტრავმირებული გაი ვერ ჩაერევიან ბოლტისა და ბლეიკის საჩემპიონო დუელში, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

როგორც წესი, ამერიკელებს 400 მეტრის მოგების დიდი შანსი აქვთ. მათ პეკინის ჩემპიონის **ლაშონ მერიტის** ეიმედებათ, მაგრამ მას გამარჯვებისთვის მოუწევს მსოფლიოს ჩემპიონისთვის, გრენადელი **კირიანი ჯეიმსისთვის** რევანშის აღება.

ამერიკელი ქალი მორბენლები, როგორც წესი, მოკლე დისტანციებზე ფავორიტები არიან. 100 მეტრზე აშშ-ს წარმოადგენს ისტორიაში მეორე ყველაზე სწრაფი მორბენალი **კარმელიტა ჯეტერი**. ის 32 წლისაა, თუმცა ფორმის პიკზე სამი წლის წინ გავიდა, რამაც მაშინვე წარმოშვა დოპინგის მიღებაზე ეჭვი. ჯეტერს გარანტირებული არაფერი აქვს, რადგან სერიოზული კონკურენტები ეყოლება **შელი-ენ ფრეზერ-პრაისის**, **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნის** (ორივე – იამაიკა) და **კელი-ენ ბაპტისტის** (ტრინიდადი) სახით.

ჯეტერი 100 მეტრზე, **ელისონ ფელიქსი** – 200 მეტრზე, **სანია რიჩარდსი** – 400 მეტრზე... სპრინტში ამერიკელ ქალებს ყველაფერი წესრიგში აქვთ. და მძლეოსნობის სხვა სახეობებშიც ბევრი იმედისმომცემი სპორტსმენი ჰყავთ. სიგრძეზე მხტომელმა **ბრიტნი რიზმა** ამ ოლიმპიურ ციკლში ორ-ორჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი დარბაზებისთვის და ღია არენებისთვის. თუ რიზი ლონდონში ვერ გაიმარჯვებს, ეს უდიდესი სენსაცია იქნება. სამხტომელმა **კრისტიან ტეილორმა** მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი და მას შემდეგ ტემპი არ დაუგდია. მას ეკუთვნის მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგი. არის კიდევ ათჭიდელი **ეშტონ ისტონი**, რომელმაც ამერიკის ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდი დაამხო.

## მოცურავეები

კიდევ უფრო მოსავლიანი უნდა იყოს ამერიკისთვის ცურვის ტურნირი. უფრო მეტიც, ოლიმპიადის ნებისმიერ სტარტი შეიძლება დაჩრდილოს **მაიკლ ფელპსისა** და **რაიან ლოხტეს** პირადმა დუელმა.

დიადმა ფელპსმა, რომელმაც ამ ოთხ წელიწადში თავს მოდუნების უფლება მისცა, უარი თქვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაზე, რითაც ლოხტეს საშუალება მისცა ოქროსთვის გერმანელ **პაულ ბიდერმანს** გაეჯიბროს. მაგრამ კომპლექსურ ცურვაში ორივე დისტანციაზე მთელი ყურადღება სწორედ ამ ორი ამერიკელისკენ იქნება: მათ კონკურენციას ვერავინ გაუწევს. დაუმატეთ ამას ესტაფეტები და ცხადი გახდება: საბჭოთა ტანმოვარჯიშის **ლარისა ლატინინას** რეკორდი (სხვადასხვა სინჯის 18 ოლიმპიური მედალი) აუცილებლად დაემხობა. ამისთვის ფელპსს სამი მედლის მოპოვება სჭირდება, ის კი შვიდ დისციპლინაში აპირებს გამოსვლას.

იგივე ლოხტე ფავორიტია 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ამავე დისციპლინაში ქალებს შორის საუკეთესოა **მისი ფრანკლინი**. მაგრამ ეს მხოლოდ ელიტაა. არიან კიდევ **ბრიჯა ლარსონი**, **სკოტ უელცი** (ორივე – ბრასის სპეციალისტი) და **კეიტლინ ლევერენცი** (კომპლექსური)... მათი გვარები ჯერ ბევრს არაფერს გვეუბნება, მაგრამ მათ ლონდონში დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

# ამერიკელებმა ხუთი მედალი მოგვცეს

აქვე გთავაზობთ USA TODAY-ის მიერ შედგენილი მედლების ვირტუალურ სიას. ამერიკელებმა საქართველოს ნაკრებისთვის ხუთი მედალი გაიმეტეს (ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო) და 37-ე ადგილი მოგვანიჭეს. მათი აზრით, ოქროს მოიგებს **მანუჩარ ცხადაია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ვერცხლს – **ქრისტინე ესებუა** (მშვილდოსნობა) და **დავით მარსაგიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), ბრინჯაოს – **გიორგი გოგშელიძე** (თავისუფალი ჭიდაობა) და **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა).

**USA TODAY-ის ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 41 | 20 | 27 | 88 |
| 2. ჩინეთი | 34 | 35 | 25 | 94 |
| 3. რუსეთი | 21 | 27 | 33 | 81 |
| 4. გერმანია | 20 | 20 | 20 | 60 |
| 5. ბრიტანეთი | 17 | 27 | 19 | 63 |
| 6. საფრანგეთი | 11 | 13 | 13 | 37 |
| 7. ავსტრალია | 10 | 12 | 18 | 40 |
| 8. იტალია | 10 | 10 | 13 | 33 |
| 9. კორეა | 10 | 3 | 14 | 27 |
| 10. იაპონია | 9 | 15 | 11 | 35 |
| 11. კენია | 9 | 5 | 5 | 19 |
| 12. ბრაზილია | 7 | 5 | 5 | 17 |
| 13. აზერბაიჯანი | 6 | 7 | 6 | 19 |
| 14. ჰოლანდია | 6 | 4 | 6 | 16 |
| 15. ყაზახეთი | 6 | 2 | 4 | 12 |
| 16. კანადა | 5 | 6 | 7 | 18 |
| 16. უკრაინა | 5 | 6 | 7 | 18 |
| 18. ირანი | 5 | 5 | 2 | 12 |
| 19. თურქეთი | 5 | 3 | 3 | 11 |
| 20. იამაიკა | 4 | 6 | 3 | 13 |
| 21. ბელარუსი | 4 | 5 | 7 | 16 |
| 22. ა. ზელანდია | 4 | 5 | 6 | 15 |
| 23. კუბა | 4 | 1 | 8 | 13 |
| 24. უნგრეთი | 3 | 6 | 7 | 16 |
| 25. დანია | 3 | 4 | 0 | 7 |
| 26. ჩეხეთი | 3 | 3 | 2 | 8 |
| 27. სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 28. შვედეთი | 3 | 0 | 5 | 8 |
| 29. ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 3 |
| 30. პოლონეთი | 2 | 5 | 6 | 13 |
| 31. ესპანეთი | 2 | 3 | 10 | 15 |
| 32. საბერძნეთი | 2 | 3 | 1 | 6 |
| 33. ხორვატია | 2 | 2 | 5 | 9 |
| 34. უზბეკეთი | 2 | 1 | 5 | 8 |
| 35. რუმინეთი | 2 | 0 | 4 | 6 |
| 36. შვეიცარია | 2 | 0 | 2 | 4 |
| 37. საქართველო | 1 | 2 | 2 | 5 |
| 38. ბელგია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 39. სერბეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| 40. მონღოლეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 41. ავსტრია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 41. ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 43. ბულგარეთი | 1 | 0 | 3 | 4 |
| 44. ირლანდია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 45. არგენტინა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45. ბოტსვანა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45. პუერტო რიკო | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45. მალაიზია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45. ბაჰრეინი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 45. ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 |
| 51. ლიტვა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 52. ეთიოპია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 52. სომხეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 54. სლოვენია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 55. ს. აფრიკა | 0 | 1 | 4 | 5 |
| 56. ინდოეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 56. მექსიკა | 0 | 1 | 3 | 4 |
| 58. ისრაელი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 59. ტაივანი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 59. სინგაპური | 0 | 1 | 1 | 2 |
| 59. ტაილანდი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 62. ჩრ. კორეა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 62. სუდანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 62. კვიპროსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 62. პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 66. ინდონეზია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 66. ტაჯიკეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 68. დომინიკის რ | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. გრენადა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. ფინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. ტუნისი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. მაროკო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. ეგვიპტე | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. საამიროები | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. ნევისი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |



აგნიეშკა რადვანსკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩოგბურთელებში მედროშეობა მოდაშია

პოლონეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ქვეყნის დროშა ჩოგბურთელ **აგნიეშკა რადვანსკას** მიანდო. 23 წლის მოთამაშე ამ მომენტისთვის მსოფლიოს მეორე ნომერია და ცოტა ხნის წინ კარიერაში პირველად ითამაშა "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში – უიმბლდონზე გადამწყვეტი მატჩი სამ სეტში წააგო ამერიკელ **სერენა უილიამსთან**. რადვანსკა პირველი პოლონელი ქალი სპორტსმენია, ვისაც ოლიმპიურ თამაშებზე ეროვნული გუნდის მედროშეობა ანდეს.

ჩოგბურთელთაგან გახსნის ცერემონიაზე თავიანთი ქვეყნის დროშას შემდეგი მოთამაშეები ჩაატარებენ: რუსი **მარია შარაპოვა**, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ბელარუსი **მაქს მირნი**.

# ლეგენდების ესტაფეტა



როჯერ ბანისტერი

ინგლისში გრძელდება ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა. ამჯერად ოლიმპიური ცეცხლი ბრიტანეთის დედოფლის – ელიზაბეთ II-ის მამულს სტუმრობდა ვინძორში.

დედოფალთან შეხვედრის პატივი ერგო 74 წლის **ჯინა მაკგრეგორს**. ის ყოფილი სპორტსმენია და სახელი იმით გაითქვა, რომ ნეტბოლში კარიერა 41 წლის ასაკში დაიწყო.

მაკგრეგორამდე ჩირაღდანი ბრიტანული სპორტის კიდევ ერთ ვეტერანს, 83 წლის სერ **როჯერ ბანისტერს** ებარა. ის პირველი მორბენალია ისტორიაში, ვინც ერთი მილი დისტანცია ოთხ წუთზე ნაკლებ დროში დაფარა. ეს 1954 წელს მოხდა. თანაც მისი მარშრუტი Iffley Road-ის სტადიონზე გადიოდა – სწორედ ამ არენაზე დაამყარა მან უკვე ნახსენები რეკორდი.

სხვათა შორის ბუკმეიკერთა აზრით, სწორედ ბანისტერია ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლის დანთების მთავარი პრეტენდენტი.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა დასასრულს უახლოვდება. უკვე გავლილია საერთო დისტანციის - 12 900 კილომეტრის 95 პროცენტი.

● კალათბურთი

# ესპანეთის ორიდან ორი

ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ფავორიტებმა ოლიმპიადისთვის ინტენსიური მზადება დაიწყეს.

პეკინის თამაშების ვიცე-ჩემპიონმა და ევროპის მოქმედმა გამარჯვებულმა ესპანეთის ნაკრებმა პირველი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა. **სერჯო სკარიოლოს** გუნდმა ვალიადოლიდში უმასპინძლა ბრიტანეთს და მოულოდნელად, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა.

ესპანელებმა პირველ მეოთხედში ექვსქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ მისი განვრცობა ველარ შეძლეს. დარჩენილ სამ მეოთხედში ბრიტანეთმა ორჯერ ფრეს მიაღწია, მესამე მეოთხედი კი ორი ქულით მოიგო. საბოლოოდ, ესპანეთმა ოთხი ქულა მოიგო – 78:74.

მასპინძლების რიგებში გამოირჩეოდნენ ძმები **გასოლები – პაუ** და **მარკი**. მათ 16-16 ქულა დააგროვეს, ამასთან, პაუ გასოლმა 11 მოხსნაც გააკეთა და შეხვედრა ორმაგი დუბლით დაასრულა. ესპანელებში კიდევ ერთმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი – **სერჯ იბაკამ** შვიდიდან ხუთი ბურთი ჩააგდო და 13 ქულა მიიითვალა.

ბრიტანელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო **ჯოელ ფრილენდი** – მის ანგარიშზე 15 ქულაა. ჩააგდო თამაში გუნდის ლიდერმა **ლუოლ დენგმა**: თამაშიდან რვაჯერ ისროლა და მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო, ჯამში კი 12 ქულა დააგროვა.

გუშინ, ესპანეთმა მადრიდში მეორე საკონტროლო შეხვედრაში საფრანგეთი დაამარცხა. ამჯერად მასპინძლების უპირატესობა დიდი იყო – 81:65 გაიმარჯვეს. ასეთი ანგარიშის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ფრანგების რიგებში მხოლოდ ექვსი წუთი ითამაშა **ტონი პარკერმა**, რომელიც თვალის ტრავმას იშუშებს.

ესპანეთი ოლიმპიადაზე გამოსვლას 29 ივლისს, ჩინეთთან მატჩით დაიწყებს. ჯგუფში მისი მეტოქეები არიან ავსტრალია, ბრაზილია, ბრიტანეთი და რუსეთი.

■ ■ ■

საკალათბურთო ტურნირის მთავარი ფავორიტი – ამერიკის ნაკრები ლას ვეგასში გადის შეკრებას.

დრიმ თიმი დღეს ჩაატარებს თავის პირველ საწვრთნელ შეხვედრას დომინიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკელი ჟურნალისტების ვარაუდით, ამ მატჩში და ოლიმპიადაზეც **მაიკ კრჟიჟევსკის** გუნდის სასტარტო ხუთეული ასეთი იქნება: **კრის პოლი**, **კობი ბრაიანტი**, **ლებრონ ჯეიმსი**, **კევინ დურანტი** და **ტაისონ ჩენდლერი**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი. NBA. ახალი ამბები

# მაიამი არ წუნარდება

## ლუისი ფლორიდაში, მესამე ფრანგი სპურსში, რუსი მინესოტაში...

აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას NBA-ის ახალი ჩემპიონი "მაიამი ჰიტი". როგორც ESPN-ის ვებგვერდი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს, ფლორიდულმა კლუბმა შეთანხმებას მიაღწია **რაშარდ ლუისთან** (გასულ სეზონში – 7.8 ქულა). უკვე გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ლუისი "ჰიტში" ორი წელი ითამაშებს და ამ დროის განმავლობაში 2.8 მილიონ დოლარს მიიღებს. როგორც ირკვევა, ლუისს უფრო სარფიანი წინადადებებიც ჰქონდა, მაგრამ მან "მაიამის" ვარიანტი არჩია.

გუშინ, „ჰიტმა" რეი ალენთან ერთად ლუისიც წარუდგინა ჟურნალისტებს.



რეი ალენისა და რაშარდ ლუისის წარდგენა

### სპურსმა დანკანი გაიფორმა და დე კოლო დაიმატა

გუშინ გახდა ცნობილი, "სან ანტონიო სპურსმა" და **ტიმ დანკანმა** (15.4 ქულა, 9.0 მოხსნა) ვეტერანი ფორვარდის ახალი კონტრაქტი შეათანხმეს. ლეგენდარული კალათბურთელი "სპურსში" კიდევ სამი წელი დარჩება და ჯამში 34 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ადრე დანკანი ამბობდა - დიდად არ ვარ დაინტერესებული სხვა კლუბში გადასვლითო.

ამასობაში, "სპურსის" შემადგენლობა მესამე ფრანგი კალათბურთელით შეივსო. ესპანეთის "ვალენსიას" მცველი **ნანდო დე კოლო** "სან ანტონიოსთან" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ **გრეგ პოპოვიჩის** გუნდში უკვე ირიცხებიან საფრანგეთის ნაკრების წევრები – **ტონი პაკერი** და **ბორის დიავი**.

*"სან ანტონიოსთან" კონტრაქტის გაფორმება უდიდესი პატივია ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის კარგად მემახსოვრება "ვალენსიაში" გატარებული სამი წელი"*, - განაცხადა დე კოლომ.

შარშან, ევროთასზე ჩატარებულ 16 მატჩში დე კოლო საშუალოდ 11.3 ქულას აგროვებდა.

### დერონი და ნეში დადასტურდა

გუშინ, ოფიციალურად დადასტურდა ორი კონტრაქტი, რომლის შესახებაც საკალათბურთო საზოგადოებისთვის პრესის მეშვეობით იყო ცნობილი.

"ბრუკლინ ნეტსის" პრესატაშემ განაცხადა, რომ კლუბმა ხუთწლიანი და 98-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა გამთამაშებელ **დერონ უილიამსთან** (21.0, 8.7 პასი). ამასთან, ოთხი წლის გასვლის შემდეგ, დერონს თავისუფალ აგენტებში გასვლისა და კლუბის შეცვლის უფლება ექნება.

ასევე დადასტურდა ვეტერანი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** (12.5, 10.7 პასი) "ლეიკერსში" გადასვლა. "ფინიქსის" ყოფილმა მცველმა კალიფორნიულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "სანზმა" კანადელის სანაცვლოდ მომავალ სამ დრაფტზე ოთხი კალათბურთელის არჩევის უფლება მიიღო.

გრძელდება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ "ლეიკერსში", შესაძლოა, "ფინიქსის" კიდევ ერთი ვეტერანი ვიხილოთ. ეს გახლავთ ფორვარდი **გრანტ ჰილი** (10.2 ქულა, 3.5 მოხსნა). ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჰილი "ლეიკერსში" გადავიდოდა ან დაასრულებდა კარიერას. თუმცა ახლა ანონიმური წყარო წერს, რომ ვეტერანი არ გამორიცხავს მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტებს. მაგალითად, ის აპირებს განიხილოს "მაიამისა" და "ფინიქსის" წინადადებები.

### მეორე რუსი ასოციაციაში

ახალი სეზონიდან მეორე რუსი ლეგიონერი გამოჩნდება ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მოსკოვის ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების მცველი **ალექსეი შვედი** კონტრაქტზე შეუთანხმდა "მინესოტა ტიმბერვულვზს" და ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

როგორც რუსული პრესა წერს, ვენესუელაში გამართული ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ, 23 წლის შვედი აშშ-ში გაემგზავრა ახალ გუნდთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

"მინესოტას" გარდა, რუსით დაინტერესებულნი იყვნენ "კლივლენდი", "მემფისი" და "ოკლაჰომა". ყველა კლუბი მას 10 მილიონ დოლარად შეფასებულ სამწლიან კონტრაქტს სთავაზობდა.

2010 წელს შვედი მონაწილეობდა NBA-ის დრაფტში, მაგრამ არც ერთ გუნდს არ გასჩენია მისი აყვანის სურვილი.

დაბოლოს, გუშინ ცნობილი გახდა, რომ „ბრუკლინ ნეტსმა" კონტრაქტი გააფორმა 37 წლის ვეტერან მცველთან **ჯერი სტეკჰაუსთან**. ხელშეკრულება ერთწლიანია და „ატლანტასა" და „დალასის" ყოფილი მოთამაშე ვეტერანის მინიმალურ ხელფასს - 1.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

2011-12 წლების სეზონში სტეკჰაუსი საშუალოდ 3.6 ქულას აგროვებდა.

● ველოსპორტი

# ლენსის საქმე დამძიმდა

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** სარჩელი შეიტანა აშშ-ის ფედერალურ სასამართლოში ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს (USADA) წინააღმდეგ. ლენსი ითხოვს USADA-სგან, რომ მან შეწყვიტოს სპორტსმენის მიერ დოპინგის გამოყენების შესახებ საქმის გამოძიება, მაგრამ ფედერალურმა სასამართლომ არ მიიღო ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონის სარჩელი.

ანტისადოპინგო სააგენტო არმსტრონგს მთელ რიგ დარღვევებში ადანაშაულებს: აკრძალული პრეპარატების გამოყენებიდან დაწყებული, დოპინგის გავრცელებით დამთავრებული. ლენსს ყველა ოლიმპიურ სახეობაში სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის. ამერიკელი უარყოფს ბრალდებებს, თუმცა 40 წლის სპორტსმენი, რომელმაც ველოსპორტში კარიერა დაასრულა და ტრიატლონში გადავიდა, უკვე მოკვეთილია ამ სახეობის ტურნირებიდან.



ლენს არმსტრონგი

არმსტრონგის სარჩელში წერია, რომ ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტო არღვევს სპორტსმენის კონსტიტუციურ უფლებას, გარდა ამისა, ლენსის შემთხვევაში ორგანიზაცია თავისი იურისდიქციის ფარგლებს სცილდება. და კიდევ, ველომრბოლმა სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი **ტრევის ტაიგარტი** დაადანაშაულა იმაში, რომ ის თითქოს სპორტსმენის მიმართ პირად შურისძიებას ეწევა.

მაგრამ საბოლოოდ ფედერალურმა მოსამართლემ **სემ სპარკსმა** უარყო ველომრბოლის სარჩელი, რადგან მასში ვერ აღმოაჩინა ანტისადოპინგო სააგენტოსა და ტაიგარტის დანაშაულის რეალური დამამტკიცებელი საბუთები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლეგია-დოლჩანი | 2:1 |
| ბრნო-ბანიკი | 2:2 |
| რაძიონკოვი-პიასტი | 1:4 |
| კონსტანტა-შივასი | 0:0 |
| კრასნოდარი-ვასლუი | 1:2 |
| ლევერკუზენი-გენტი | 0:1 |
| ბელხატოვი-ტურკ ტურეკი | 1:2 |
| კრალოვე-ჩასლავი | 4:1 |
| სლავია-სლოვანი | 5:0 |
| ჰაიდენჰაიმი-შტუტგარტი | 1:2 |
| ჰალადაში-გლორია | 2:2 |
| პანათინაიკოსი-ბრაუნშვაიგი | 1:1 |
| პენაფიელი-არუკა | 2:1 |
| ლავალი-ლე მანი | 4:1 |
| სოშო-ბრესტი | 1:1 |
| ველბერი-ბორუსია (მ) | 0:6 |
| მეპენი-დორტმუნდი | 1:2 |
| აიაძსი-ვეენდამი | 5:1 |
| კოპენჰაგენი-სერკლი | 2:1 |
| რუზელარე-ანდერლეხტი | 0:3 |
| ტულუზა-ისტრი | 0:1 |
| ლიერსი-ჰევერლე | 1:1 |
| ნანტი-ანჟერსი | 1:0 |
| ისტ ფაიფი-სტ. ჯონსტონი | 0:4 |
| კენდალი-დანდი | 0:2 |
| სერვეტი-პორტუ | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| ოდ გრენლანდი-ვოლერენგა | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ალტა-სტრომენი | 2:3 |
| **უნგრეთი** | |
| **სუპერთასი** | |
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 1:1 პენ. 3:5 |
| **ბულგარეთი** | |
| **სუპერთასი** | |
| ლუდოგორეცი-ლოკომოტივი (პ) | 3:1 |

| პერუ | |
|---|---|
| რეალ გარსილასო-ხუან აურიჩი | 1:0 |
| მელგარი-ინტი გასი | 1:0 |
| ლეონსი-კობრესოლი | 3:0 |
| ს. ჰუანკაიო-სესიანო | 2:0 |
| უნ. სან მარტინი-ხოსე გალვესი | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბაშტადი** | |
| დუტრა და სილვა-**დიმიტროვი** | 1:6, 4:6 |
| ვოლანდრი-**ცოპი** | 6:3, 1:6, 4:6 |
| **ჰაიეკი**-ნიემინენი | 6:1, 7:6 |
| სოუზა-**რობრედო** | 3:6, 1:6 |
| **ფერერი**-ბოლელი | 6:4, 6:3 |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| კუერი-**სელა** | 7:5, 6:7, 2:6 |
| რასელი-**რამი** | 6:7, 3:6 |
| ო. როხუსი-**ნიშიკორი** | 7:6, 4:6, 2:6 |
| სოკი-**ვან დერ მერვე** | 4:6, 4:6 |
| **ისნერი**-მაუ | 6:2, 7:6 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| **გარსია ლოპესი**-ანდუხარი | 6:1, 4:6, 6:1 |
| **ფაუ**-როსოლი | 7:6, 7:6 |
| **ბრაუნი**-პერი | 7:6, 4:6, 6:1 |
| **ტიპსარევიჩი**-დარცისი | 6:4, 6:2 |
| **ATP. უმაგი** | |
| **ბახინგერი**-კლიჟანი | 6:0, 2:6, 6:4 |
| ბრანდსი-**ჩილიჩი** | 3:6, 2:6 |
| **ოდესნიკი**-კავჩიჩი | 3:6, 7:5, 7:6 |
| **გრანოლერსი**-სტარაჩე | 6:4, 3:6, 6:3 |
| **WTA. პალერმო** | |
| **ბ. ზახვალოვა**-სოლერი | 7:5, 7:6 |
| დომინგეს ლინო-**ბეგუ** | 6:3, 1:6, 4:6 |
| **კადანტუ**-კორნე | 6:3, 5:7, 6:2 |
| კამერინი-**კაბესა** | 6:7, 5:7 |
| **ერანი**-მეირი | 6:3, 6:2 |

● TV პროგრამა

**12 ივლისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. არსენალი.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კიევო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. დიჟონი-პსჟ.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ჰერენვეენი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბაიერნი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ ორლეანი-ბოსტონი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მილანი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცების წყვილები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ ორლეანი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**17:40** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-კახა ლაბორალი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.

**I არხი**

**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. მეტალურგი-ტეუტა. საპასუხო მატჩი (LIVE). მეორე ტაიმი მეორე არხზე.
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი. აქტობე-ტორპედო. საპასუხო მატჩი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 20 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 32 | (მზე) |
| გორი | 15 | 30 | (მზე) |
| თელავი | 17 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 17 | 30 | (მზე) |
| ქობულეთი | 18 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 10 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 29 | (წვიმა) |
| მესტია | 12 | 24 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0316 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6541 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5748 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0387 |

● კრივი

# ჰეიმ და ჩისორამ 5 მილიონი გაინაწილეს


დერეკ ჩისორა

კრივის მოყვარულებს 14 ივლისს არაერთი საინტერესო ბრძოლა ელით. ერთ-ერთია სკანდალური ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსნების - **დევიდ ჰეისა** და **დერეკ ჩისორას** დაპირისპირება, რომელიც ლონდონში, „ვესტ ჰემის" საფეხბურთო არენაზე გაიმართება.

გერმანული ყოველკვირეულის - SportBild-ის ინფორმაციით, შეხვედრის საერთო საპრიზო ფონდი 5 მილიონ ევროს შეადგენს: ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჰეი 3.7 მილიონ ევროს მიიღებს, მისი მეტოქე ჩისორა - 1.7 მილიონს.

შეგახსენებთ, რომ ჩისორას ჰონორარი WBC-ის ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლაში 500 ათას ევროს შეადგენდა. ამ თანხიდან 100 ათასი პრესკონფერენციაზე მოწყობილი ჩხუბის გამო დაწესებული ჯარიმის გადახდას მოხმარდა. დევიდ ჰეიმ კი **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შეხვედრისთვის 15 მილიონი ევრო მიიღო.

გუშინ, ამ ბრძოლისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ბრიტანელმა მოკრივეებმა განაცხადეს, რომ საერთო ჰონორარიდან დაახლოებით 30 ათას დოლარს საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოსესია

# შიშველი სპორტი

ამ დღეებში გამოვიდა ჟურნალ ESPN Magazine-ის ტრადიციული დამატება - The Body Issue, რომელიც ყოველ წელს „აშიშვლებს“ სპორტის ვარსკვლავებს.

წელს, ფოტოსესიაში მონაწილეობა მიიღეს სლოვაკმა ჩოგბურთელმა **დანიელა ჰანტუხოვამ**, კალათბურთელმა **კენდის პარკერმა**, აფროსანმა **ანა ტანიკლაიფმა**, აშშ-ის ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა, ნორვეგიელმა გოლფისტმა **სიუზან პეტერსენმა**, ბრაზილიელმა სერფინგისტმა **მაია გაბეირამ**, აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელმა **კარლოს ბოკანეგრამ**, NHL-ის ვარსკვლავმა **ბრედ რიჩარდსმა**, NBA-ის ცენტრმა **ტაისონ ჩენდლერმა** და სხვებმა.


კენდის პარკერი


დანიელა ჰანტუხოვა


სიუზან პეტერსენი


მაია გაბეირა

ჩოგბურთი

# ორდენოსანი აზარენკა

## ლუკაშენკოს ახალი დევიზი: მთავარია მოგება და არა მონაწილეობა!

ბელარუსმა ჩოგბურთელმა **ვიქტორია აზარენკამ**, რომელიც ამ კვირიდან დაბრუნდა WTA-ის რეიტინგის პირველ საფეხურზე, ბელარუსის პრეზიდენტს **ალექსანდრ ლუკაშენკოს** საკუთარი ჩოგანი აჩუქა.

აზარენკამ უიმბლდონზე ნახევარფინალს მიაღწია, სადაც მომავალ გამარჯვებულთან **სერენა უილიამსთან** წააგო. ორშაბათს კი მან კლასიფიკაციაში ჩამოაქვეითა რუსი მარია შარაპოვა.

*"შენთვის მთავარია, არ წააგო პირველი სეტი და ისწავლო ძლიერი მოწოდების მოგერიება"*, - სერენასთან ნახევარფინალი შეახსენა ლუკაშენკომ აზარენკას და თან მესამე ხარისხის ორდენი გადასცა სპორტული დამსახურებებისთვის.

აზარენკა ბელარუსის ოლიმპიური ნაკრების წევრია და ლონდონში იასპარეზებს. ის იქ მედლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. ვიქტორიას დაჯილდოვებასთან ერთად, ლუკაშენკომ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები ლონდონში გააცილა.

*"არსებობს მხოლოდ გამარჯვება. მთავარია არა მონაწილეობა, არამედ მოგება. ამას ბელარუსი ხალხის სახელით გეუბნებით"*, - განაცხადა ლუკაშენკომ სპეციალურ ცერემონიაზე.

ბელარუს სპორტსმენებს 25 მედლის მოპოვება დაუსახეს მიზნად, მათ შორის, ხუთი ოქროსი. ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ლონდონში სპორტსმენები, პირველ რიგში, ქვეყნის პრესტიჟისთვის იბრძოლებენ, რომელიც პოდიუმზე დაკავებული ადგილებით იზომება.


ვიქტორია აზარენკა

ფორმულა 1

# ბერნი 100 წლამდე რჩება

ბრიტანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სარბოლო დირექტორმა, **ბერნი ექსლტოუნის** ძველმა მეგობარმა **ჩარლი უაიტინგმა** განაცხადა: *"ადამიანებს არ შეუძლიათ მუდმივად მუშაობა – მხოლოდ ბერნი აკეთებს ამას!"*

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა ეს თემა გაზეთ "დეილი მეილში" განავრცო. ფონდ CVC Capital Partners-თან (ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებს მსოფლიოს ჩემპიონატის ეკონომიკას) ურთიერთობაზე საუბრისას, ექლსტოუნმა განაცხადა: *"CVC-ის შეფი დონალდ მაკენზი კმაყოფილია ჩემი მუშაობით. მაგრამ მას აწუხებს შემდეგი: რას გააკეთებს, როცა მე არ ვიქნები. თუ მოვკვდები ან გავიქცევი, მას მოუწევს მემკვიდრის პრობლემის გადაწყვეტა.*

*სავარაუდოდ, სხვანაირად მოქმედება იქნება საჭირო. მე რომ არ ვყოფილიყავი, ყველაფერს არა ერთი ადამიანი, არამედ მთელი ჯგუფი გაუძღვებოდა. როცა 100 წლის გავხდები, აუცილებლად გავალ პენსიაში. არ ვიცი ვინ უნდა აიღოს თავის თავზე ეს სამუშაო – სიმართლე გითხრათ, ჩემს ნაცნობებში არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ვუსურვებდი ამ საქმის გაძღოლას"*.

ინტერვიუში ბერნი სხვა თემებსაც შეეხო, კერძოდ, ცოტა ხნის წინ გამართულ სასამართლო პროცესს ყოფილი გერმანელი ბანკირის **გერჰარდ გრიბოვსკის** წინააღმდეგ. კითხვაზე – ხომ არ ეშინია მომავალი სასამართლო გარჩევების, ექლსტოუნმა უპასუხა: *"არა, მე ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ მაქვს. ჩემმა ადვოკატებმა მითხრეს, რომ ამ საქმეს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ბოლოს და ბოლოს, პროცესზე მოწმის როლში ვიყავი, მაგრამ იქ კიდევ 41 მოწმე იყო. საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის, რადგან გრიბოვსკიმ აპელაცია შეიტანა.*

*კრიმინალური არაფერი ჩამიდენია. ქრთამი არავისთვის მიმიცია. და სასამართლოზე ვთქვი, რომ მზად ვარ მოწმის სტატუსით გამოვიდე..."*

გარდა ამისა, 80 წელს გადაცილებულმა პრომოუტერმა პირად საქმეებზე ისაუბრა, კერძოდ, დაადასტურა, რომ ჯერ არ არის დადგენილი თავისი საქორწინო ცერემონიალის თარიღი. ბრიტანელი **ფაბიანა ფლოზისთან** აპირებს ურთიერთობის დაკანონებას: *"თარიღის შესახებ ჯერ ვერ ჩამოვყალიბდით. იქნება თუ არა მდიდრული ქორწილი? ვეძებ ამისთვის შესაფერის ადგილს, თანაც არა მხოლოდ ლონდონში. ეს უნდა იყოს სასიამოვნო რესტორანი, სადაც არ იქნება ბევრი ხალხი და მოიძებნება ორადგილიანი მაგიდა. მოკრძალებულ ქორწილს გადავიხდით..."*

■ ■ ■

ამასობაში, ბერნი ექლსტოუნმა განაცხადა, რომ თანხმობის ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს რბოლების ტრანსლიაციისა და უფლებების გაყიდვიდან მიღებული თანხის განაწილების საკითხებს, უახლოეს დროში გაფორმდება. ადრე, ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარს ამბობდა "მერსედესი", რადგან თავისი წილის გამო უკმაყოფილო იყო. შეთანხმება ორი წელი იქნება ძალაში.

*"ყველა გუნდთან მივაღწიეთ პრინციპულ შეთანხმებას, - ამბობს ექსლტოუნი. – ახლა, ადვოკატები ბოლო დეტალებზე მუშაობენ"*.


ბერნი და მისი საცოლე

# შუმახერს წასვლა არ უნდა

"მერსედესის" პილოტმა **მიხაელ შუმახერმა** ყველას მიანიშნა, რომ გერმანულ საჯინიბოსთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიმდინარე ხელშეკრულება ამა წლის დეკემბერში იწურება. ამავდროულად, პრესა აქტიურად წერს იმის შესახებ, რომ "მერსედესში" შეიძლება აღმოჩნდეს მისივე გაზრდილი **პოლ დი რესტა**, რომელიც წელს ძალიან კარგად გამოდის "ფორს ინდიას" შემადგენლობაში.

*"ჯერ არ ვაპირებ კარიერის ხელმეორედ დასრულებას. რა თქმა უნდა, ასეთი მომენტი ადრე თუ გვიან მაინც დადგება. ეს მაშინ მოხდება, როცა სხვა საქმე დამაინტერესებს. მაგრამ ახლა, ძალიან მოტივირებული ვარ. განსაკუთრებულ სიამოვნებას მაშინ ვიღებ, როცა ბოლიდის საჭესთან ვზივარ"*, - მოჰყავს "ბილდს" შუმახერის სიტყვები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608